

ქართული პრინიპა




საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

№1(68)

გამოდის 1988 წლის 10 მაისიდან

მარტი 1991



ქართულ-ევროპული ინსტიტუტი

Institut Georgien-Europeen
5, Rue Chasseloup-Laubat 75015 Paris

Tei: 47 34 72 13

Paris, le 28 Novembre 1990

საქართველოს ეროვნულ კონგრესს

დიდი ქართველის, ბრწყინვალე მოაზროვნის, საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრის, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარის მერაბ მამარდაშვილის ტრაგიკული გარდაცვალება, დიდი დარტყმაა ქართული ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობისათვის.

ჩვენის ღრმა რწმენით, ტრაგედია არის შედეგი იმ დევნისა, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე რომ აწარმოვა სიბნელემ სტალინური მეთოდებით, დიდი ტერორის შხამიანი სუნთქვით, და სამართლისა და ეთიკის ყოველგვარი ნორმების დარღვევით, ეროვნული კონგრესის წევრისა და ქართველი მოაზროვნის წინააღმდეგ.

კვლავ ვხედავთ სიბნელის აღზევებას საქართველოში. კვლავ გვეხმის ოფიციალური პრესის ფურცლებიდან სინათლისადმი სიძულვილით მოკუმსულ სტალინისა და ბერძნის თვალთა ტკაცანი. კვლავ ისხლიტება ჩახმაზი, რომელმაც სამოცდაათწლიან ბნელ გვირაბში შეგვიყვანა და რომლიდანაც გამოსვლა უდიდეს სულიერ და ზნეობრივ დამაბვას მოითხოვს. ეს შეტევაა საერთოდ აზროვნებაზე, თავისუფლებაზე, ღირსებაზე. შეტევაა უპიროვნობისა - პიროვნებაზე...

მერაბ მამარდაშვილი იმავე სიბნელემ იმსხვერპლა, რომელმაც ილია ჭავჭავაძე, რომლის ჭეშმარიტი მემკვიდრეც მერაბ მამარდაშვილი გახლდათ.

ქართული სიბნელე ქართულივე სინათლის მტერია და ესაა საქართველოს ტრაგედიის წყარო.

გავა დრო და თაობები აღიზრდებიან იმ სინათლეზე რომელსაც მერაბი ასხივებდა და დათრგუნავენ გამეფებულ სიბნელეს. სიკეთე სძლევეს ბოროტებას.

ბრწყინვალე მოაზროვნის, ჭეშმარიტი მამულიშვილის და ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული ფილოსოფიისა და მთლიანად კულტურისათვის.

ჯანრი კაშია.

საქართველოს მაიმიკ

ბატონი მერაბი გარდაცვალებამდე რამოდენიმე თვით ადრე გავიცანი. მასზე, როგორც ფილოსოფოსზე, არაფერს ვიტყვი, რადგან ამაზე ჩემზე ბევრად უკეთ თვითონ მეცნიერებმა ილაპარაკეს და ჩემი დილექტანტური ქება-დიდება მხოლოდ დაამცირებდა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის მოღვაწეობას.

სულ რამოდენიმეჯერ შეხვდები ბატონ მერაბს და ყოველი შეხვედრისას ჩემს წინ იდგა ბუმბერაზი მეცნიერი ბავშვის კეთილი, პირდაპირი, მბრწყინავი თვალებით. ამის დაეწევა შეუძლებელია. ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან და მათ უკეთილშობილეს, მგრძობიარე გულებს თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილება...

ბოლო ერთი წლის მანძილზე ოფიციალურ პრესაში რამოდენიმეჯერ გამოქვეყნდა მერაბ მამარდაშვილის წერილები, რომლებიც უფრო პოლიტიკური ხასიათის იყო. ამ წერილებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საზოგადოებრივი აზრი გაიყო. უფრო დიდმა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა ისინი. ამ დიდ ნაწილში გახლდით მეც, რომელმაც პასუხიც კი დაწერე ბატონი მერაბის ერთერთ პუბლიკაციაზე, სადაც მერაბ მამარდაშვილს-პოლიტიკოსს კაკრიტიკებდა და მისი, როგორც პოლიტიკოსის, კეთილსინდისიერებაშიც შემქონდა ეჭვი. აზრების რედაქტორმა, სადაც ჩემი პასუხი მივიტანე, მთხოვა, თავი შემეკავებინა გამოქვეყნებისაგან, არ ვიცი, რატომ, გულმა რეჩხი მიყო და წერილის გამოქვეყნება განმეორებით,

ადარ მომითხოვია. თან ერთ რამეს იმთავითვე ვგრძნობდი - ბატონი მერაბის წერილებში გამოთქმული მოსაზრებანი ნამდვილად ეხებოდა მაშინდელი „ერთიანი“ ეროვნული მოძრაობის ერთ ნაწილს, მე მხოლოდ ის მამბრაზებდა, რომ ამ წერილებში ის ერთი ნაწილი გამოყოფილი არ ყოფილა და ადრესატი მთელი მოძრაობა იყო. არადა, ვფიქრობ, ამაშიც მართალი ყოფილა, ბატონი მერაბი - ბოროტებასთან ერთიანობა, თუნდაც მხოლოდ გარეგნული, მასთან შეგუება (და არა პიროვნული მიტევა) კი არ ასუსტებს ბოროტებას, პირიქით, აძლიერებს და ისევ ბოროტების მსახურთა საკეთილდღეოდ, მასთან ბრძოლაა საჭირო და არა „ერთიანობა“, ის „ერთიანობა“, რომელსაც ასე მისტიროდნენ და დღესაც მისტირიან გულუბრყვილონი... ასე თუ ისე, მადლობა ღმერთს, ჩემი პასუხი არ გამოქვეყნებულა. ბატონი მერაბის გაცნობის შემდეგ მე მაინც ვაპირებდი მისთვის ამის თქმას, ბოლომდე რომ პირნათელი ვყოფილიყავი მის წინაშე... ვერ მოვასწარი... შემდეგ უკვე მის გასვენებაში, სამგლოვიარო მიტინგზე მინდოდა ჩემი გამოუქვეყნებელი პასუხის უკან წაღება, ვერც იქ მოვახერხე, ცრემლებმა დამაზრჩო...

ღმერთმა მიუტევოს დღევანდელ საქართველოს მისი შვილების სისასტიკე და ღუმილი...

ირინა სარიშვილი

დღეს ნოემრია

ვიხსნათ საბუთარი სულაბი!..

ირინა სარიშვილი

წერილები „ეროვნული“ ციხიდან

ქ რ ი ნ ი კ ა

პოლიტიკური სატირა - რუსლან მიქაბერიკი

ერთი ინტერვიუს გაყო

ქვეყნა ჯონაძე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი... თუ სამაჩაბლო?

გიორგი ჯანაშია

მისხნათ საკუთარი სულეი.

„დღეს საქართველოში მიმდებარე პოლიტიკური მდგომარეობა“ - უკვე წელიწადზე მეტია, თითქმის ყველა წერილი თუ სატელევიზიო გამოსვლა ამ სიტყვებით იწყება და მთავრდება, ამ ერთი უსახური ფრაზის უკან, რომელმაც ხშირი ხმარების გამო, ფაქტურად, შინაარსი დაკარგა, ქართველი ერის ტრაგედიაა, დღევანდელი ტრაგედიაა. საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი პატიოსანი ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, აღმსარებლობისა და პატრიოტული სულისკვეთებისა ცი, დღეს პოლიტიკაშია ჩართული, ეძიებს, პოულობს, შემდეგ კვლავ ეჭვდება. ასეა თუ ისე, მისი მღელვარების, შემფოთების მიზეზიც და მიზანაც ერთადერთია: რომელიმე მხარეში დაინახოს სიმართლე, ანუ ის, რისი ნდობაც მას შეუძლია. ასე რომ, ყველაფერი საბოლოოდ პოლიტიკით იფარგლება, პოლიტიკით, რომელიც ნებისმიერი სხვა პროფესიის მსგავსად, ძალზე ადვილად ბინძურდება ბინძურ ხელებში. მე არ ვაპირებ ამ წერილში საკუთარი პოზიციის პროპაგანდას, ჯერ ერთი, იგი ისედაც კარგად არის ცნობილი, მეორეც, დღევანდელი მდგომარეობის გამოსწორება, არა მგონია, მხოლოდ სწორი პოლიტიკური პოზიციის მიგნებით იყოს შესაძლებელი რამეთუ მისი გაბინძურებაც შეიძლება, ამიტომ, მოდი, სანამ მთავარი სიტუაციის ანალიზს შეუდგებოდეთ, საკუთარ ხელებზე დავიხედოთ, საკუთარი საქციელი შევაფასოთ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე, რამეთუ ყოველივე ამის უკან ზნეობაა, რომელიც ჩვენი ბრძოლის საფუძველი უნდა იყოს. ჯერანაირი მიზანი, როგორც კეთილშობილიც არ უნდა იყოს იგი, უზნეო, სულმდაბალ, არაკაცთმოყვარე საშუალებებს ჯერ გამართლებს და ასეთი საშუალებებით განხორციელებული მიზანი ძალიან მალე დამსხურებულად გაგაწნის სილას.

ბევრი რამ, რაც დღეს ხდება, სასაცილო იქნებოდა, რომ არა ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის რეაქცია და საქციელი. როდესაც სასაცილოა, როდესაც საკუთარი ენა სილამაზისა და მისი კარგი თვისებების გამო უნდა გვივარდეს; როდესაც საზღვარგარეთ სასწავლებლად ან თუნდაც დასასვენებლად წასვლას ლამის სამშობლოს დალატად ნათლავენ; როდესაც სხვა ერის დამცირებით საკუთარის განდიდებას ლამობენ; როდესაც საჯაროდ ისეთ აბსურდულ ბრალდებას გიყენებენ, რაზეც ვერც კი გაბრაზდები; როდესაც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერს უწიფური ენით არნახულ ლაფში ამოსვრიან მხოლოდ იმიტომ, რომ მას სხვა აზრი აქვს - ეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა, მაგრამ შემზარავია ის, რომ ყოველივე ამას საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავისი გავლენის ქვეშ ჰყავს, ეს არ არის ერის ტრაგედია. ერის ტრაგედია იწყება მაშინ, როდესაც ასეთი ადამიანები ხალხისავე ნებით და არა ძალმომრებით სხვაზე მეტ უფლებებს იძენენ და უკვე არა თავისი, არამედ ხალხის სახელით გამოდიან, სასაცილოა, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საჯაროდ განაცხადებს, თითქოს მისი პოლიტიკური ოპონენტების კერძოზე გამოჩენა უარყოფითად მოქმედებს ავადმყოფებზე, რომლებიც თურმე ჩვენს დანახვაზე სარგანიშნაო განყოფილებაში გადაჰყავთ (24 დეკემბრის შეხვედრა ტელევიზიის თანამშრომლებთან) - შემზარავია იმის წარმოდგენაც კი, რომ ამ განცხადებას ვინმე სერიოზულად აღიქვამს და უფრო მეტიც - მხარსაც დაუჭერს მას, იმის მიუხედავად, იზიარებს თუ არა იგი განცხადების ავტორის პოლიტიკურ პოზიციას. შეიძლება ადამიანი „მრგვალი მაგიდის“ კონცეფციას იზიარებდეს, მაგრამ ხომ არ შეიძლება პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ასეთი მეთოდებით ბრძოლის გამართლება? აქ ხომ უკვე პოლიტიკა არაფერ შუაშია. განა პოლიტიკოსობა სჭირდება იმის ცოდნას, რომ ცილისწამება ცოდვია, რომ ადამიანების გასახლების მოთხოვნა საკუთარი თავის შეურაცხყოფაა, რომ ბავშვების, მათ შორის თითო ბავშვის ცემა არაადამიანობაა, რომ დამპყრობელს, შენი დისა და ქმის მკვლელს ტაში არ უნდა დაუკრა და არანაირი პოლიტიკური მოსაზრებით გვერდით არ უნდა დაიყენოს! - რად უნდა ამას პოლიტიკა? ეს განა პოლიტიკური შეცდომაა, რომ ვერ გავიგოთ და ჯეროვნად არ შევაფასოთ, ან ჩვენი დუმილი იმით გავამართლოთ, აქოდა პოლიტიკისაგან შორს ვართო? ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა რეაქცია გვექნებოდა, იგივე საქციელი კომპარტიის წევრებს რომ ჩაედინათ, ან წარმოდგენაც რა საჭიროა, გავიხსენოთ, რისთვის დაიგმო მთელი ქართველი ერის მიერ პატიაშვილისა და მისი ამქრის საქციელი 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ - საოკუპაციო ჯარების შემოყვანაზე ტაშის დაკვრისთვის. ქართველი ხალხის სწორმა რეაქციამ ის შედეგი გამოიღო, რომ ეს ჯარები იურიდიულად არ დაკანონებულა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. დღეს კი, ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის არასწორი, პირდაპირ ვთქვათ, უზნეო რეაქციის „წყალობით“ კრემლმა გაბედა და უზენაესი საბჭოს ხელით ეს ჯარები ჩვენივე კანონმდებლობით დაგვიკანონა. უპირველესი მიზეზი ჩვენი საზოგადოების არასწორი რეაქციისა არის ის, რომ მისი აზრით, საქართველოს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა შ ი არაკომუნისტური ძალა მოვიდა, რომელსაც გარკვეული პერიოდის მანძილზე შეუძლია თავის თავს ზედმეტი უფლებებიც მიანიჭოს და მთელს საზოგადოებაში თუ არა, მის ნაწილში სუფთა ძალის სახელი შეინარჩუნოს, გააკეთოს ის, რასაც კომუნისტები ვერ გაბედავდნენ, მით უმეტეს 9 აპრილის შემდეგ. აი, რა ხდება დღეს

„მრგვალი მაგიდა“ ჩამოართვა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს 9 აპრილის მთელი ქართველი ერის მონაპოვარი - პრესისა და ტელევიზიის შედარებით თავისუფლება, რომელთაგან არცერთი არანაირ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ ეკუთვნოდა, - ისინი საქართველოს თავისუფლებისათვის დაიღუპნენ, ჩვენ კი, ცოცხლებმა, ეს სისხლის ფასად მოპოვებული სიმდიდრე გავფანტეთ, ყველაფერი წმინდა და ამალღებული, შიმშილობა იქნება ეს თუ მიტინგი, ფეხქვეშ გაუთლეთ. განა ამის დანახვას პოლიტიკა სჭირდება? განა თვითონ „მრგვალი მაგიდის“ მომხრენი ვერ უნდა მიხედნენ, რომ ეს დაუსრულებელი დედათა შიმშილობის აქციები, სხვა თუ არაფერი, ამაზრუნია და უკვე სამართლიან ზიზღს იწვევს მოსახლეობაში? ნუთუ ამის გამართლება პოლიტიკური პოზიციით შეიძლება? მაშინ ვაი, ასეთ პოლიტიკას, ვაი ასეთ საქართველოს! საქართველო მარტო ხეები და მდინარეები ხომ არ არის - საქართველო ქართველი ერია და თუ ქართველი ერი გადაგვარდა, მაშინ საქართველოც აღარ იქნება. ამიტომ, სჯობს, გონს მოვეგოთ და პოლიტიკაში ჩართვამდე ყველამ განურჩევლად ჩვენი პოლიტიკური მრწამსისა, ჯერ ადამიანური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები გავიხსენოთ, გავიხსენოთ, რომ შიში თვინიერ ღვთის შიშისა ყოველგვარი ბოროტების სათავეა, რომ სიმართლისათვის ბრძოლამ ჩვენი სიცოცხლეც რომ შეიწიროს, ჩვენი სულელები იზიამებენ გამრავლებას და ამით გადარჩება საქართველო. მთავარია, ჩვენი ბრძოლის მეთოდები სუფთა იყოს, ამ ბრძოლაში ერთმანეთის გულს გავუფრთხილოთ, მოვექცეთ სხვას ისე, როგორც გვინდა, რომ ჩვენ გვექცეოდნენ, ვიყოთ მკაცრი საკუთარი თავის მიმართ, გაცილებით უფრო მკაცრი, მომთხოვნი, ვიდრე ამას სხვისგან მოვითხოვთ და მხოლოდ ამის შემდეგ, მხოლოდ ჩვენი ბრძოლის მეთოდების კარგი გაანალიზების შემდეგ ავირჩიოთ პოლიტიკური პოზიცია, რამეთუ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი იმის გაგება, რომ მიზანი არა მხოლოდ არ ამართლებს საშუალებას, არამედ საშუალება ამხელს ჭეშმარიტ მიზანს.



1990 წლის 4 ივნისი. პრალის კონფერენციის დაწყებამდე რამოდენიმე წუთია დარჩენილი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დიდერები და აქტივისტები ყვავილებით ამკობენ ჩეხეთ-სლოვაკეთის ეროვნული გმირის იან პადახის თავის დაწვის ადგილს /იან პადახმა თავი დაიწვა ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა აგრესიის საპროტესტოდ 1968 წელს/.



1990 წლის ივნისში, პარიზის გარეუბანში, გიორგი ჭანტურია შეხვდა ეროვნულ-დემოკრატიის წარმომადგენელს, უურნად "ივერიის" მთავარ რედაქტორს ზაგონ მიხეილ ქავთარაძეს

„მამათა და შვიდთა“ დაპირისპირებულობა, რაც გაუგებრობისა და ეგზონტორმაციის შედეგი იყო, კეთილგანწყობამ შეცვალა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ძველი ემიგრაციის წარმომადგენელმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს გადასცა პარტიული რეგალიები.

ირინა სარიშვილი
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტის განცხადება
1991 წლის 18 თებერვალს დილის 4 საათზე სსრკ შეიარაღებული ჯარის ნაწილები და სპეცდანიშნულების სამხედრო რაზმები შავნაბადაზე კოჯრის მიდამოებიდან თავს დაესხნენ „მხედრონის“ ბაზას.
ოკუპანტებმა შავნაბადას ალბისათვის გარდა ავტომატური იარაღისა, გამოიყენეს აგრეთვე ჯავშანტრანსპორტიორები და ვერტმფრენებიც კი.
„მხედრონის“ ბაზაზე იმ ღამით იმყოფებოდა 16 ადამიანი, რომელთა განკარგულებაში იყო მხოლოდ 3 ავტომატი, ასე რომ, დამსჯელი რაზმის იმედი - ხელში იარაღის საწყობი ჩაეგდო - არ გამართლდა!
არიან დაჭრილები ორივე მხრიდან. სამხედროები შავნაბადაზე არ უშვებენ სასწრაფო დახმარების მანქანებსა და პრესის წარმომადგენლებს. მიღებულია იზფორმაცია, რომ სამხედროები ტყვედ ჩაგვარდნილებს მხეცურად აწამებენ.
ეს სამხედრო აქცია „მხედრონის“ წინააღმდეგ განხორციელდა საქართველოს უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით, რომელიც მიზნად ისახავს გორბაჩოვ - გამსახურდიას გეგმის რეალიზაციას.

ქ რ ო ნ ი კ ა

ქართული
ხიზლირთქა

1991 წლის 18 თებერვალს 16 საათზე ოპერის თეატრთან ჩატარდა საპროტესტო მიტინგი, რომელიც ორგანიზებული იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ. აქციაში მონაწილეობა მიიღო ეროვნულ კონგრესში შემავალი ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

მიტინგი მიყვდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრს ჯუმბერ კოპალიანს. სიტყვები წარმოთქვა: ვ.ვაშაქიძემ, ჯ.იოსელიანმა, გ.ჭანტურიამ, გ.გოგუაძემ, რ.მიქაბერიძემ და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს "მხედრონის" ბაზაზე სამხედროების მხეცური თავდასხმა, როგორც გამსახურდასა და სამხედროების მიერ განხორციელებული ერთობლივი ოპერაცია. ასევე გაიკიცხა საქ-უზენაესი საბჭო, რომელიც ოფიციალური ტერორის პოლიტიკას ეწევა, ებრძვის დემოკრატიას და საქართველოში კრემლის აშკარა დასაყრდენს წარმოადგენს.

მიტინგზე თავი იჩინეს უზენაესი საბჭოს მიერ გამოგზავნილმა პროვოკატორებმა. ერთ-ერთმა მათგანმა სროლაკი ატენა, რის შემდეგაც იგი დაკავეს და განაიარაღეს მომიტინგეებმა. პროვოკატორი აღმოჩნდა გორდა სანიკიძე, პროკურატურის თანამშრომელი, მწერალ ლევან ჭინიკიძის შვილი, საქ. უზენაესი საბჭოს დეპუტატის ძმა, "მრგვალი მაგიდის" წევრი.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ გვარდიაში მათი ჩარიცხვა მიზნად ისახავდა ქართველი ერის ინტერესების დაცვას და არა გამსახურდას დიქტატურის განმტკიცებასა და ძმათამკვლელი ომის პროვოცირებისათვის ხელშეწყობას.

ორატორებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ უზენაესი საბჭოს მიზანია საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირება, იმპერიის დამსჯელი რაზმების შემოყვანა და ამ გზით ჭეშმარიტი ოპოზიციის - ეროვნული კონგრესის განადგურება.

"მრგვალი მაგიდა" მთავრობის სახლთან ჩატარა ალტერნატიული მიტინგი. მიტინგზე მოიყვანეს საშუალო სკოლის მოსწავლეები ტრანსპარანტებით - "ჩვენ თქვენთან ვართ, ბიძია ზვიად!" და სხვა.

თავიანთ გამოსვლებში ზ.გამსახურდიამ და თ.ქორიძემ ეროვნული კონგრესის წევრებს, ყოველგვარი არგუმენტირების გარეშე, ქართველი ერის მოღალატეები უწოდეს. ეროვნული კონგრესის წევრი, ოპერატორი გ.ხაინდრავა ცდილობდა ფირზე აღებუჭდა მიტინგი, მაგრამ აქციის ორგანიზატორებმა მას ამის უფლება არ მისცეს.

ზ.გამსახურდიას ბრძანების თანახმად, საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უარს ამბობენ მიიღონ და გამოაქვეყნონ ეროვნული კონგრესის მასალები.

1991 წლის 19 თებერვალს 8 საათსა და 30 წუთზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ.გამსახურდიას ბრძანებით შსს თანამშრომლებმა მეგობრის ბინაში დააკავეს ეროვნული კონგრესის წევრი და პატრიოტული ორგანიზაცია "მხედრონის" ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი. ჯერჯერობით მისი ადგილსამყოფელი უცნობია. მანამდე, 18 თებერვალს, საღამოთი, ასევე შსს-ს თანამშრომლების მიერ დაპატიმრებულ იქნა ეროვნული კონგრესის წევრი და "მხედრონის" ერთ-ერთი აქტივისტი ზაზა ვეფხვაძე. მისი ადგილსამყოფელიც ასევე ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

1991 წლის 19 თებერვალს ქ.სამტრედიოში საქ.შსს თანამშრომლებმა და წმ.ილია მართლის საზოგადოებამ ("მრგვალი მაგიდა") დააკავეს ბათუმიდან თბილისში მომავალი 5 კაცი.

20 თებერვალს დილით გამოუშვეს 4 დაკავებული: ბიძინა აფხაზავა (ედა), გოჩა კორტავა (ედა), ტარიელ მახარაძე (სდა) და რობერტ ნადირაძე (ბათუმელი სამართალდამცავი, პოეტი).

დარეჯან გუგუშაშვილი - ედა-ს წევრი (მარტოხელა დედა, ჰყავს 6 წლის ბავშვი) დააკავეს ზემოთ დასახელებულ პირებთან ერთად და ჩასვეს სამტრედიის წინასწარი პატიმრობის საკანში. პროკურატურის მიერ მისთვის წაყენებულია სისხლის სამართლის საქმე მასობრივი არეულობის ორგანიზების ბრალდებით (იგულისხმება 16 თებერვლის სამტრედიის აქცია, რომელიც პრეფექტურის შემოღების წინააღმდეგ იყო მიმართული). აქციაში მონაწილეობდა და თავის პროტესტს პრეფექტურის წინააღმდეგ გამოხატავდა სამტრედიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. პრეფექტმა ("მრგვალი მაგიდის" წარმომადგენელმა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა) მომიტინგეების დასარბევად გამოიძახა წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრები, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს დემონსტრანტებს პრეფექტურის შენობასთან, სადაც მომიტინგეები მივიდნენ, რათა გამჭეხატათ თავიანთი პროტესტი.

19 თებერვალს გამსახურდიას ბრძანებით შსს-ს თანამშრომლებმა დააკავეს "მხედრონის" 4 წევრი გურჯაანში, 11 - ყვარელში, 3 - ახმეტაში და 1 - თელავში. დაპატიმრებულთა ადგილსამყოფელი, ისევე როგორც დღეს დილით დაკავებული ჯ.იოსელიანისა და გუმინ დაკავებული ზ.ვეფხვაძისა, უცნობია. ამავე 19 თებერვალს, საღამოს, საქტელევიზიამ გააკეთა განცხადება ზემოთ დასახელებულ პირთა შესახებ, აგრეთვე იმის შესახებაც, რომ აყვანილია "მხედრონის" რამდენიმე წევრი სამტრედიოში, მაგრამ არ დაასახელა მათი ვინაობა და რაოდენობა.

19-სავე თებერვალს შსს-ს მუშაკებმა დააკავეს "მხედრონის" წევრები (რაოდენობა უცნობია) და 10 ედა-ის წევრი ლაგოდეხში. აქ "მხედრონისა" და ედა-ს წევრთა დაპატიმრების შესახებ ტელევიზიის სიტყვა არ დაუძრავს.

19 თებერვალს "მხედრონმა" პროტესტის ნიშნად გამოაცხადა მჯდომარე გაფიცვა და მოითხოვა დაუყოვნებლივ დაპატიმრონ თავად ისინიც. ამ აქციას, რომელიც ტარდება ოპერის თეატრის გვერდით, შეუერთდა ედა-ს 60 წევრი, რომლებმაც ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენეს "მხედრონისა" და ედა-ის წევრთა დაპატიმრების გამო. ეროვნულმა კონგრესმა შექმნა საორგანიზაციო ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით. ამ ჯგუფში შევიდა აგრეთვე კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის წარმომადგენელი.

იმავე 19 თებერვალს ოპერის თეატრთან გვიმართა მიტინგი, რომელსაც უძღვებოდა ედა-ს მთავარი კომიტეტის წევრი თენგიზ შარმანაშვილი. სიტყვებით გამოვიდნენ: ი.ბათიაშვილი, ლ.ბედლოშვილი, გ.ხაინდრავა, ი.ქადაგიშვილი, ლ.შაქიაშვილი, ი.წერეთელი და სხვა. მიტინგზე

ერთსულოვნად იქნა დაგმობილი მარიონეტული უზენაესი საბჭოს ფაშისტურ-ბოლშევიკური პოლიტიკა, მისი თავმჯდომარის ზ.გამსახურდიას მეთაურობით. აგრეთვე კრემლისა და საქ-უზენაესი საბჭოს შეკავშირებული მოქმედების საწინააღმდეგოდ დაისახა შემდეგი ღონისძიებანი: 20 თებერვალს სახ.უნივერსიტეტის ეზოში ჩატარდება მიტინგი, იმავე დღეს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის დარბაზში შედგება შეხვედრა ინტელიგენციასთან და სხვა.

19 თებერვალს, დილით, ლაგოდეხში "მხედრონის" წევრებთან ერთად დააპატიმრეს ედა-ის წევრები (10 კაცი, მათ შორის ედა-ს ლაგოდეხის კომიტეტის მდივანი გიორგი ხიდუშელი) ვითომდა იარაღის უკანონო ტარებისათვის.

დაპატიმრებულები წინასწარი პატიმრობის საკანებში იმყოფებიან. ოთხმა პატიმარმა - გიორგი ხიდუშელმა, კონსტანტინე სამხარაძემ, ემირ ჩახლაძემ და ზურაბ კაკაშვილმა (ედა-ს წევრები) გამოაცხადეს მშრალი შიმშილობა.

20 თებერვალს, თბილისში, 12 საათზე სახ.უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტთა პრესკლუბის ინიციატივით შედგა მიტინგი. აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება. დაგმეს საბჭოთა ჯარისა და საქ-უზენაესი საბჭოს მოქმედება. მიტინგზე გამოვიდა 18 თებერვალს დაპატიმრებული "მხედრონის" წევრის ზაზა ვეფხვაძის მუდღე, რომელმაც განაცხადა, რომ როცა მისი ქმარი დააკავეს (ქუჩაში, საკუთარ მანქანაში), შსს-ს თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს და გამოლანძღეს თვითონ ისიც.

20 თებერვალს ედა-ის წევრმა დარეჯან გუგუშაშვილმა (ის იმყოფება სამტრედიის შსგ-ის წინასწარი პატიმრობის საკანში) შიმშილობა გამოაცხადა. დ.გუგუშაშვილი არ იძლევა ჩვენებს და მოითხოვს, რომ მასთან შეხვედრაზე დაუშვან პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, აგრეთვე ედა-ს მთავარი კომიტეტის წევრები, რათა მათი თანდასწრებით გააკეთოს საპროტესტო განცხადება.

20 თებერვალს ოპერის თეატრთან, სადაც მიმდინარეობს მჯდომარე გაფიცვა, შედგა ეროვნული კონგრესის მიერ ორგანიზებული მორიგი მიტინგი, სადაც დამსწრე საზოგადოებრიობამ მიიღო ინფორმაცია ახალ-ახალი დაპატიმრებების შესახებ, რასაც ხელმძღვანელობს შსს ზ.გამსახურდიას ბრძანებით.

მიტინგზე აგრეთვე აღინიშნა, რომ მოსალოდნელია საქ-უზენაესი საბჭომ რაზმებს დროში მიმართოს ოფიციალურ ტერორს.

მჯდომარე გაფიცვა გრძელდება.

მიმდინარე წლის 20 თებერვალს, თბილისში, კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის შტაბ-ბინაში პრესკონფერენცია ჩატარა ედა-ს თავმჯდომარე გიორგი ჭანტურიამ. ეს ღონისძიება კინოსტუდია "ქართული ფილმის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უნდა ჩატარებულიყო კინოსტუდიაში, მაგრამ მანამდე რამდენიმე დღით ადრე კინოსტუდიის ხელმძღვანელობამ მიიღო ოფიციალური ბრძანება მისი აკრძალვის შესახებ.

პრესკონფერენციას ესწრებოდა დაახლოებით 500 კაცი, ოფიციალური და არაოფიციალური პრესის წარმომადგენლები აგრეთვე სტუმრები ლიტიდან, რუსეთიდან ("მოსკოვსკიე ნოვოსტი") საფრანგეთიდან და სხვა.

გ.ჭანტურიამ გააკეთა მოხსენება საბჭოთა იმპერიასა და მის ფონზე საქართველოში სადღესო ვითარებაზე, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამაზე საკუთარი პოზიცია და თვალსაზრისი. იგი ხაზგასმით შეეხო მოღალატურ, ანტიდემოკრატიულ, კრემლთან შეთანხმებულ საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მისი თავმჯდომარის პოლიტიკას. გ.ჭანტურიამ ჯარ კიდევ ოფიციალური საბჭოთა არჩევნების ჩატარებამდე დაადასტურა ზ.გამსახურდიას სუთან თანამშრომლობისათვის და გამოიწვია იგი ტელედეკლარაციაში, რაზედაც გამსახურდიამ უარი განაცხადა. პრესკონფერენციაზე დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით გ.ჭანტურიამ წარმოადგინა გამსახურდიას მამხილებელი ზოგიერთი დოკუმენტი და ფაქტი. შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა იმ რეალურ საშიშროებაზე, რაც ემუქრება კრემლისა და მისი ადგილობრივი აგენტების - საქ-უზენაეს საბჭოში მოკალათებულთა მხრიდან ოპოზიციას - საქართველოს ეროვნულ კონგრესს და აღნიშნა, რომ გამორიცხული არაა ამით მიმართონ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ოპოზიციის ფიზიკურ განადგურებას, მით უმეტეს, რომ რეპრესია - დაპატიმრებები უკვე დაწყებულია და არნახული ტემპით ვითარდება (არსებობს იმის ნიშნები, რომ გაძლიერდება ოფიციალური ტერორის პოლიტიკა). ოპოზიციის უმთავრეს ამოცანად გ.ჭანტურიამ დასახა საინფორმაციო სამსახურების გაძლიერება, რათა გზა გადაეკეტოს კრემლსა და საქართველოს მარიონეტულ უზენაეს საბჭოსა და მის თავმჯდომარეს ზ.გამსახურდიას ხელი მოაწერონ "სამოკავშირეო" ხელშეკრულებას.

მოხსენების შემდეგ გ.ჭანტურიამ უპასუხა კორესპონდენტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა შეკითხვებსა.

20 თებერვალს მილიციისა და საქართველოს გასამხედროებელი ნაწილები თავს დაესხნენ "მხედრონის" საგარეჯოს განყოფილებას. რამდენიმე კაცი, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს "მხედრონის" ერთ-ერთი ლიდერი გელა გოდერძიშვილი დაჭრილია.

ქართველმა ინტელიგენციამ წერილობით მოითხოვა "მხედრონისა" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყველა დაკავებული წევრის განთავისუფლება. წერილს ხელს აწერენ: ა.ბაქრაძე, თ.ბუაჩიძე, ჯ.ჩარკვიანი, ნ.ჭავჭავაძე, რ.სტურუა, თ.ახულაძე და სხვები.

ხელმოწერები გრძელდება.

გეგმარალ-პოლოკონიკ ა.ინაურის ინტერვიუს გამო

1990 წლის 14 აგვისტოს № 3-4 გაზეთ „7 დღე“-ში დაიბეჭდა საქართველოს სუკ-ის ყოფილი თავმჯდომარის, გენერალ-პოლოკონიკ ა.ინაურის პასუხები ჟურნალისტ ი.ინაშვილის კითხვებზე. რადგანაც გენერლის პასუხებს ვერ დავთანხმები, თავს უფლებას მივიცემ მოგახსენოთ ჩემი რამოდენიმე მოსაზრება.

დავიწყებ ინტერვიუს წამმდგარებულ ავტორისეული შესავლით: „სიმართლე გითხრათ, მაინც და მაინც დიდი იმედი არა მქონდა, რომ ინტერვიუზე დამთანხმდებოდა, საერთოდ მოისურვებდა წარსულის ქექვას, მაშინ ხომ უამრავი გაუგებრობა ხდებოდა?“, წერს ი.ინაშვილი. დღეს, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა, იმ დიდ სიბოროტეს, რასაც საქართველოს სუკი ჩადიოდა დისიდენტთა და საერთოდ, პროგრესულად მოაზროვნე ყველა პატრიოტი ქართველის მიმართ, მხოლოდ სიბოროტე და დანაშაული შეიძლება ეწოდოს, ხოლო სიბოროტესა და „გაუგებრობას“ შორის უდიდესი განსხვავებაა. იმედია ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგ „გაუგებრობები“ ხდებოდა გენარლ ინაურის სუკ-ის თავმჯდომარეობის პერიოდში (35 წელი, საქართველოს გასაბჭოებისა და „საბჭორობის“ მთელი პერიოდის ნახევარზე მეტი!) დამეთანხმებით, რომ ეს ასეა. „მიმანიშნა, რომ მარტოდ გრძნობდა თავს. იგი ყველამ დაივიწყა, რატომ ჰგონია ი.ინაშვილს, რომ აინაური ყველამ დაივიწყა, იქნებ მისი „აღზრდილი“ დღეს თათბირობენ გენერალთან. რატომ დაუგუჯროთ ინაურს, რომ იგი „ყველასგან დავიწყებულა“, რატომ დაუგუჯროთ ადამიანს, რომელიც მთელი თავისი „შემოქმედების“ მანძილზე არავის უჯერებდა, გარდა მსტორებისა, მოწვევისა და „სიკ.სოტების“ა. „მე ხომ ისევ ცკ-ს წვერი ვარ. რაც პენსიაზე გავედი, პლენუმზე ერთხელაც არ მოუწვევივართ“. არ იქნებოდა ურიგო, ჟურნალისტს ეკითხა „ბატონო გენერალო, 1989 წლის 7 აპრილს საქართველოს კაც-ს აქტივზე, შემდეგ კი რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თათბირზე რომ მოეწვიეთ, დაუჭერდით თუ არ მხარს თქვენი „შვილობილის“, ჯ.პატიანიშვილისა და მისი თანამებრძოლების. მოთხოვნას საქართველოში ჯარის „მოკლანაზე“-ო. ინტერვიუს წამმდგარებულ შესავალი იწყება სიტყვებით - „უკვე ორი წელია ალექსი ინაური გადადგა“- ეს სიცრუეა. აინაური გადადგა 1988 წლის დეკემბერში, ე.ი. მისი გადადგომიდან ორი წელი შესრულდება 1990 წლის დეკემბერში, ეხლა კი 1990 წლის აგვისტოა (ინტერვიუ დაიბეჭდა 1990 წლის 14 აგვისტოს). მაგანი იკითხავს, რა გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს 3-4 თვეს? აქვს მნიშვნელობა და თანაც დიდი: 9 აპრილის ტრაგედია უცებ, ერთ დღეში და ერთ კვირაში არ მომხდარა, იგი გაცილებით უფრო ადრე, 1988 წლის ოქტომბერში

დაიწყო. ცნობილია, რომ 1988 წლის ოქტომბერში და ნოემბერში თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იწყებს მთელ რიგ მრავალრიცხოვან აქციებს: მიტინგებს, დემონსტრაციებს, მას მხარს უბამენ სხვა პარტიები და ორგანიზაციები. ისიც ცნობილია, რომ უკვე მაშინ იყო დარბევები ამ მანიფესტაციებისა (ცინოს სახლთან და ა.შ.). მილიცია ვერასოდეს ვერც გაბედავდა და არც გაბედავდა სუკ-ის ნებართვის გარეშე დარბევას,

პრტი ინტერვიუს გამო

თბილისელმა კავშირგაბმულობის სახლის ხელში ჩაგდებას ცდისას ჯარისკაცს თვალში მოახვედრა დროშის ტარი. ჯარისკაცმა კი უბრძანებოდ ავტომატის ჯერი გაისროლა“. აი ასე, ქართველებს უნდოდათ კავშირგაბმულობის სახლი ხელში ჩაგდოთ, ჯარისკაცს თვალში დროშის ტარი ატაკეს! დაახლოებით იმ ახსნას ჰგავს,

ჰყავდა, თავს თამამად და უსაფრთხოდ გრძნობდა, როცა 1956 წ. 9 მარტს ქართველების დასოცვა ბრძანა თბილისის ქუჩებში, ნ.სრუშჩოვმა („შემდეგ შევიტყვე, მას ნ.სრუშჩოვს. ავტ.) გაუცია ბრძანება, ტანკები და ბრონეტრანსპორტიორები გამოეყვანათ თბილისის ქუჩებში. 150 ახალგაზრდა დაიღუპა დემონსტრანტთა წინააღმდეგ იმ ოპერაციის დროს“. ემეგარდნაქე „თბილისი“ 10 ივლისი. 1990 წ. სკკპ XXVIII ყრილობა), იგი აინაურს არ ენდობოდა (სუკ-ი ამ საქმეში არ მონაწილეობდა. არ ვიცი, იქნებ არც გვენდობოდნენ“- აინაური); ხოლო როცა ნ.სრუშჩოვის პირად უსაფრთხოებაზე მიდგებოდა საქმე „უფრო თამამად გრძნობდა თავს, როცა ახლოს ვეგულებოდი“. აქ კი მარლთაც შედმეტია კომენტარი!

გეგზავნი თქვენ წერილს, რომელიც დამანერინა გაზეთ „შვიდ დღე“-ში დაბეჭდილმა ი. ინაშვილის ინტერვიუმ განერალ-პოლოკონიკალექსი ინაურთან („შვიდ დღე“, № 3-4, 14 აგვისტო 1990 წ.).

გეგზავნი თქვენ იმიტომ რომ თქვენი გაზეთის (რომლის მუდმივი მკითხველი ვახლავართ) პოზიცია, სიმართლისათვის ბრძოლა და პროგრესული მიმართულება ჩემთვის ძალიან ახლაა. ერთი კია, გულდასაწყვეტია, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ამკარად აკლია სიმთლიანე, რაცა თქმა უნდა, ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე ასხამს წაქალს. იმედს გამოვთქვამ, რომ „სანთულ-საკვეცილი ვზას არ დაკარგავს“, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები სიმართლეს გაარკვევენ, ქართველ ხალხს იმედს და ოპტიმიზმს გაუძლიერებენ და ჩვენს სამშობლოს მაგანთა დასაცინად და საზღვიგანად არ გახდინან.

შველა სიტყვაზე, რომელიც ჩემს წერილშია, ნებისმიერ დონეზე ვაგებ პასუხს. თუ ჩათვლით საჭიროდ და თქვენს გაზეთში დაბეჭდავთ ჩემს წერილს, თავს ბედნიერად ჩათვლი. ერთს კი გინოვთ, პუბლიკაციის შემთხვევაში არჩერთი სიტყვა არ ამოიღოთ. რაც შეეხება თქვენი რედაქციის დადებით თუ უარყოფით აზრს ჩემი წერილისადმი, შეგაძლიათ წაშეშეგაროთ თქვენივე გაზეთში.

1990 წ. 21 აგვისტო. ქ. მოსკოვი

ეს წერილი „ქართული ქრონიკის“ რედაქციამ გასული წლის ნოემბერში მიიღო. წერილი აგვისტოში დაიწერა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ წერილის თემა არასდროს ისეთი აქტუალური არ მოიფილა, როგორც დღეს, როცა ქველადგენ, მათ შორის სუკ-საც, სახელი შევცვალა, არის კი იგივე დარმა. რაც შეეხება წერილის ავტორის გულისტკივილს ეროვნულ მოძრაობაში ე.წ. განუთქილები არსებობის შესახებ, ჩვენ ძალიან კარგად გვეხმის, რომ ეს დიდ გაუგებრობას ქმნიდა შინ თუ გარეთ. მაგრამ 28 ოქტომბრის არჩენების შემდეგ, ერთი დაპირისპირებული მხარის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც დღეს ხელისუფლების სათავეშია, ფორმალურადც ვერა ჩათვლება ეროვნული მოძრაობის ნაწილად. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება საქართველოს გარეთ უკვე არავითარ ეჭვს აღარ იწვევს და არც ეროვნული მოძრაობა ითვლება შუაზე გახლეჩილად, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ თვითონ საქართველოში მოსახლეობის სოლიდური ნაწილისათვის ეს პერ კედლე გაუგებარია.

რედაქცია მაღლობს უხდის ავტორს წერილის გამოგზავნისათვის და მისი თხოვნის თანხმად, უცვლელად ბეჭდავს მას. ამასთან, იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი ძალზე დაინტერესებს მკითხველს რომელიც, ალბათ, წერილის ავტორში თავის თავს, ახლობელს, ნათესავსა თუ მეზობელს დაინახავს, მთავარი ის არის, რომ არ აფერხდარ შეცვლილად.

ხოლო სუკ-ის თავმჯდომარე 1988 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გენერალი ა.ი. ინაური გახლდათ. „პირველი ოთხი ღერი სიგარეტი ზედიზედ მოსწია, ჩვენი საუბრის დასასრულისათვის კი საფერფლეში 12 ნაწვევი დავინახე“; ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გენერალი ოდნავ მაინც ნერვიულობდა და ლეღავდა ინტერვიუს დროს. ვინც აინაურს ასე თუ ისე ახლოს იცნობს, იცის, რომ იგი დღეში 2-3 კოლოფ სიგარეტს ეწევა და ეს მას არ უშლის ხელს ფოს უმოციო, უნერვო და საკმაოდ გულცივი ადამიანი; პირადად მე ხუთი წლის განმავლობაში მქონდა „ბედნიერება“ მასთან. ურთიერთობისა, რადგან იგი იყო მუდმივი დამსვენებელი იმ სანატორიუმისა, რომელსაც ვხელმძღვანელობდი 1983 წლიდან 1988 წლამდე (ბიჭვინთა, სანატორიუმი „ლიბავა“), ასე რომ ცოტა რამ მეც მომეკითხება ამ ადამიანის „გულდამძიმების“ შესახებ. პირადად ჩემთვის გაუგებარია, რატომ ცდილობს ასე მონდომებით ი.ინაშვილი „გულდამძიმებულ მოხუცად“, მივიწყებულ და უცოდველ ადამიანად, უწყინარ ქართველ მოხუცად, „პაპა გიგიად“. გამოიყვანოს გენერალ-პოლოკონიკი, საბჭოთა კავშირის გმირი, სამგზის ლენინის ორდენოსანი სუკ-ის უცვლელი თავმჯდომარე აინაური?

ეს ყოველივე მოკლედ, რაც შეეხება ინტერვიუს წამმდგარებულ ავტორისეულ შესავალს. ეხლა კი, რამოდენიმე სიტყვით, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჩემი აზრები გენერლის პასუხებზე. 1956 წლის 9 მარტის, თბილისში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის შესახებ: თურმე ქართველებს დაუწყიათ ეს საშინელება, „თურმე, რომელიღაც

რაფიკ ნიშანოვმა რომ უზბეკების მიერ ასობით თურქის ამოწყვეტა ფერგანაში რამოდენიმე კილო ხენდროსათვის კამათს რომ დააბრალა. „სროლა სტალინის ძეგლთანაც ატყდა. ეჭვობა, სკკპ ცკ-ის მუშაკმა მარშალ შუკოვის განკარგულებით თბილისში შემოიყვანა დივიზია. ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორები გამოჩნდა. სუკ-ი ამ საქმეში არ მონაწილეობდა. არ ვიცი, იქნებ არ გვენდობოდნენ“. იმას, ვისაც კრემლი არ ენდობა, 1953 წლიდან 1988 წლამდე სუკ-ის თავმჯდომარედ არ გააჩერებს, სამ ლენინის ორდენსა და სსრკს გმირობას (1985 წ.) არ უბოძებს, გენერალ-პოლოკონიკობას არ აღიარებს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა!!!... „სროლამ 25-30 წუთს გასტანა. 23 თუ 25 კაცი მოკლეს. სულ ეს იყო. შემდგომში მოიგონეს, ასობით მოკლული იყო, ბევრი გვამი მტკვარში გადაადგესო. ტყუილია“. აი ასე, მოკლედ, მკაზხედ, მოჭრილად: „23 თუ 25 კაცი მოკლეს. სულ ეს იყო. შემდგომში მოიგონეს, ასობით მოკლული იყო, ბევრი გვამი მტკვარში გადაყარესო. ტყუილია“. გესმით ტონი კატეგორიული? დიას ტყუილია, იმიტომ რომ ასე ამბობს გენერალ-პოლოკონიკი ა.ინაური! მოკლედ, გასაგებად, კონკრეტულად და ციცი!!!

მაგრამ ერთი წუთით ემეგარდნაქეც მოუხსინოთ: „შემდეგ შევიტყვე, რომ მას (ნ.სრუშჩოვს) გაუცია ბრძანება, ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები გამოეყვანათ თბილისის ქუჩებში. 150 (!) ახალგაზრდა დაიღუპა დემონსტრანტთა წინააღმდეგ ამ ოპერაციის დროს. დიას, იყო ასეთი რამ“. (გაზეთი „თბილისი“ 10 ივლისი. 1990 წ. სკკპ XXVIII ყრილობა). აინაურის მისეველი გამოდის, რომ გოგონა ზიშტებზე ააგესო სახედროებმა, კავშირგაბმულობის სახლის სახურავიდან ტყვიამფრქვევი ისროდაო, ხეებზე ამძვრალი ბავშვები ტყვიებით განგმირულები ასფალტზე ცვიოდნენო, მტკვარში ვგამებს ყრიდნენ ჯარისკაცებიო, რუსთაველის პრისჰექტი სისხლით იყო შეღებილიო და ა.შ. „23 თუ 25 კაცი მოკლეს. სულ ეს იყო“. 25 კაცის სიკვდილი კი არაფერია გენერლისთვის „სულ ეს იყო“-ო, მოკლედ არაფერიც არ იყოო!!!

„ემშაკმა უწყის, იქნებ დაკავებულებს მართლაც სცემენ მეთქი? ამიტომ გადაეწყვიტე მათთან ყოფილიყავი“. ხალხი (დაუკავებელი ხალხი) ქუჩაში ავტომატებით დახვრიტეს და „იქნებ დაკავებულებს მართლაც სცემენ-მეთქი“. ვინ-ვინ და აინაურმა უნდა იცოდეს, რომ დაკავებულებს არა მარტო სცემდნენ სუკ-ის სარდაფებში, არამედ აწამებდნენ! ყოფილა შემთხვევები, როცა ორთაჭალის ციხეში მამათმავალთა საკანში შეაგდებდნენ პატიმრებს, თუ დაავიწყდა, ნაძირალა ცირეკიძის „აღსარება“ გადიკითხოს 70-იან წლებში მ.კოსტავასა და ზ.გამსახურდიას მიერ გამოცემულ, მისსავე და მისივე უწყების მიერ აკრძალულ და დარბეულ ჟურნალებში („ოქროს საწმისი“, „საქართველოს მაცნე“).

გაოცებას იწვევს აინაურის გამონათქვამი: „უნდა შევნიშნო, სრუშჩოვს)ალიან ეშინოდა ქართველების. ალბათ იმიტომ, რომ XX ყრილობაზე ამხილა სტალინის პიროვნების კულტი. სალანძღავი წერილები მისდიოდა. ისე რომ უფრო თამამად გრძნობდა თავს, როცა ახლოს ვეგულებოდი“. ხედავთ რა ერთგული გენერალი ჰყავდა სრუშჩოვს საქართველოში. მას ქართველების ეშინოდა, მაგრამ როცა გენერალი აინაური გვერდზე



ლექსსა თუ მოთხრობას, ნახატსა თუ ქანდაკებას კრძალავდა და ა.შ. ალბათ, ასე აჯობებს მათთვისაც. მაგალითები და ანალოგიები კი „ცენტრში“ ჰყავთ, თუნდაც სუკის ყოფილი გენერლის, ოკლეტის სახით. უფრო ახლოს კი უფრო ახლო წარსულის, 1984 წლის ისტორია, კინორეჟისორ თ. აბულაძესთან და მის „მონანიებასთან“ რომ არის დაკავშირებული, შეესხვებინა გენერლისთვის, სჯობდა. იქნებ ამ ფილმის საკასეტო ვარიანტის დარბევა, ზოგიერთი ადამიანის სამსახურებიდან გაგდება, კასეტის დევნა 30-იანი წლების სტილში არ ახსოვს გენერალს? იქნებ თენგიზ აბულაძემ და იმ კასეტისათვის დასჯილებმა შეახსენონ გენერალს ის პერიოდი, უფრო სწორედ იმ პერიოდში დატრიალებული ჯოჯოხეთი? აუცილებელია ქართველმა ერმა დეტალურად იცოდეს, როგორი ტანჯვით გაიკვლია გზა დიდი ეკრანისკენ „მონანიებაში“!

არის გენერლის პასუხებში, ერთი თითქოსდა უგნებელი გამონათქვამი, მაგრამ თუ დრამა ჩაუფიქრებელი მკითხველო, მიხვდები თუ რა „შორს ნასროლი ანკესია“ ეს გამონათქვამი: „ხშირად ცვდილობდით გადაგვირჩინა უდანაშაულოები, რომელთა მიმართ რაიმე ეჭვი არსებობდა. როგორ ვახერხებდით ამას? პროფილაქტიკური მუშაობით. გამოიძახებ ადამიანს, გულახდილად გაესაუბრები, დაარწმუნებ, რაშიც არ არის სწორი, გააფრთხილებ და საქმე უბედურებამდე აღარ მიდის“. ე.ი. გენერლის თქმით, გამოიძახებდნენ „უდანაშაულოებს, რომელთა მიმართ ეჭვი არსებობდა“ (რა ლოგიკაა, უდანაშაულოს მიმართ თუ ეჭვია მხოლოდ რაღაზედ უძახიან სუკ-ში), გაესაუბრებდნენ, დაარწმუნებდნენ, რომ ის არ არის სწორი, ე.ი. სწორია სუკ-ი უდანაშაულო ეჭვიმტანილი იზიარებს სუკ-ის სიმართლეს და მიდის სახლში. აი ასე, ზოგან საკუთარ თანამშრომლებს გადაბარალა რეჟისორთა დევნა გენერალმა, ზოგანაც სხვადასხვაგვარად მოაზრებები, ე.წ. „დისიდენტები“ გახდა... სუკ-ის თანამოაზრეები; 1956 წლის მარტის სისხლისღვრის არაფერი იცოდა, საერთოდ სუკ-ს არავინ არაფერს არც ეკითხებოდა და არც არაფერს უთანხმებდა გენერლის თქმით და ა.შ. რა საოცრად ჰგავს არა ? აპრილის ტრაგედიის შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა განცხადებებს - „არაფერი ვიცოდითო!“ იქნებ არც ის იცოდა გენერალმა, თვითმფრინავის გამტაცებელთა დახვედრა სასჯელად რა ჯიუტად და ოპერატიულად მზადდებოდა? იქნებ მისივე უწყების სარდაფში რომ საცნებია, იქ არ იხსდნენ ის უბედური ახალგაზრდები? დღეს, როცა საბჭოთა კავშირი მორიდებით სთხოვს პაკისტანს, იქნებ თვითმფრინავის გამტაცებლები (1990 წ. აგვისტო) დაგვიბრუნოთო, რადგან პაკისტანის კანონით მათ დახვედრა მოელოთ, განა მაშინ არ შეიძლებოდა იმ უბედურ ქართველ ახალგაზრდათა გადარჩენა? განა არ იცოდა გენერალმა, რომ

ათასობით ქართველი მოთხოვნა ხელისმომწერებით არსებობდა იმ უბედურთა შესაწყალებლად? ნუთუ მათ დახვედრასაც გარდაცვლილი ხრუშჩოვი და გარდაცვლილი დუკოვი აძლებდათ? თუ მაშინდელი ხელმძღვანელობა კავშირისა აძლებდათ ამას? თუკი ასეა, მით უარესი. 1985 წელს გენერალი ინაური დაჯილდოვდა სსრკ-ს გმირის ოქროს ვარსკვლავით, არა სოც. შრომის გმირის ვარსკვლავით, არამედ საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავით. აი ასე, ყოველგვარი ინფორმაციის გარეშე საკავშირო პრესაში; ყოველგვარი კომენტარის გარეშე რესპუბლიკის პრესით იყო მხოლოდ მშრალი ინფორმაცია ა. ინაურისთვის სსრკ-ს გმირის წოდების მინიჭების შესახებ! თუ გმირობა სამამულო ომში მონაწილეობისათვის მიიღო, გაცივებს იწვევს 40 წლის დაგვიანება! მსგავსი შემთხვევა სსრკ-ს ისტორიაში უნიკალურია!

1986 წელს, ბიჭვინთაში მე გახლდით მოწმე, ერთ სუფრაზე, ერთ-ერთმა აფხაზმა პარტიულმა ხელმძღვანელმა დაუფარავი სინანულითა და გულისტკივილით ჰკითხა ა.ინაურს: „ალექსი ნიკოლოზის-მე, ნუთუ ის გზააბნეული, საწყალი ბავშვები იმსახურებდნენ დახვედრას სასჯელად? ნუთუ მართლა დაიდო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ეს საშინელი ცოცხა კისერზედ და დახვედრის ის ახალგაზრდები?“. გენერალმა მკვანებ, მოჭრით, მაგრამ აუღელვებლად მიუგო, ისე, როგორც ალბათ მხოლოდ მას ახსიათებს: „არ ვიცი, და ეს თქვენი საქმე არაა!“. იმ სუფრაზე აფხაზი ერთი იჯდა, ქართველები მრავლად. და ყველა ქართველს ენა ჩაუვარდა! შემკითხველმა კი, რა თქმა უნდა, „ათიანში“ მოარჩია... კრემლს თავისი საქმე არ ეშლებოდა: ა.ინაურის თქმით, „მოსკოვს სურდა ამ თანამდებობაზე ყოფილიყო ქართულის მცოდნე, საქართველოში. დაბადებული ქართველი, მაგრამ ისეთი, რომელიც აქ დიდი ხანია არ მსახურობდა, არავისთან იყო დაკავშირებული. ბატუცკიმ გამიხსენა, მე ვიყავი ასეთი - ალიოშა ინაური“. მანაც არ გაუმტყუნა კრემლს, ერთგულად, თავდადებით, უმწიკვლოდ ემსახურა ა.ინაური სუკ-ისა და კრემლის იმპერიულ ინტერესებს, ამიტომაც იყო უცვლელი 35 წელი! „ბევრი რამე ვიღონე საქართველოსათვის, მრავალგზის გადავარჩინე სხვადასხვა განსაცდელს“. საინტერესოა მაინც რა იღონა ასეთი გენერალმა საქართველოსთვის? რა განსაცდელისგან იხსნა მან საქართველო? იქნებ აშშ-ს ბოში უნდა ჩამოეგდო საქართველოში და გენერალმა ინაურმა ჩაშალა ეს ოპერაცია? იქნებ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სასამართლო საქართველოში გადატრიალებას ამზადებდა და „ალიოშა ინაურმა“ ამოხსნა ეს „კროსვორდი“? იქნებ მასონთა ლოჯას „პ-2“ საქართველოში თავისი უხილავი ფილიალი ჰქონდა და გენერალმა ალექსი ინაურმა გამომჟღავნა ეს უბედურება? შესაძლოა აიათოლა ხომეინი

საქართველოზე „ჯიხადს“ ამზადებდა და ალექსი ინაურის აგენტებმა თეირანში და მექაში, აიათოლა ხომეინს თავ-გზა აუბნია და საქართველოზე მომზადებული ლაშქარი ერაყისაკენ გააგზავნა? იმას, ვინც საქართველოს იხსნიდა ჭეშმარიტი უბედურებისაკენ, საკავშირო სუკ-ი და კრემლი 35 წელი რესპუბლიკის სუკ-ის თავმჯდომარედ არ გააჩერებდა. საერთოდ საკავშირო სუკ-ის ისტორიაში ეს არის ერთადერთი და უნიკალური პრეცედენტი როცა ერთი და იგივე ადამიანი 35 წელი უცვლელად ხელმძღვანელობს სუკ-ს! ერთადერთი, როგორც ცენტრში, ასევე რესპუბლიკებში! ამით ალბათ ყველაფერი ნათქვამი.

„ჩემი ჭეშმარიტი კომუნიზმს ვაშენებდი“ - ბრძანებს გენერალი. დიანაც, აკი ააშენა „მინი-კომუნისმი“ საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის წევრებისათვის:

1. ა.ინაური - გენერალ-პოლკოვნიკი, რესპუბლიკის სუკ-ის თავმჯდომარე 1953 წლიდან 1988 წლის დეკემბრამდე. სსრკ-ს გმირი, სამგზის ლენინის ორდენოსანი, საკავშირო უმაღლესი საბჭოს უცვლელი დეპუტატი მთელი მისი „შემოქმედების“ პერიოდში. რესპუბლიკის კ. ც. -სა და ბიუროს უცვლელი წევრი.
2. მ. ა. ინაური - საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე 1955 წლიდან დღემდე. გენერალ-პოლკოვნიკის მ. ა. კავშირგაბმულობის სამინისტრო ვგონებარც თუ შორს უნდა იყოს საერთოდ სატელეფონო ქსელისაკენ. ეს ისე, ცნობისათვის.
3. ა. ა. ინაური - გენერლის უფროსი ვაჟი - საკავშირო ელექტრონული მრეწველობის მინისტრის მოადგილე.
4. გ. ა. ინაური - გენერლის უმცროსი ვაჟი - რესპუბლიკის ჯან. დაცვის მინისტრის მოადგილე უცხოეთთან ურთიერთობის დარგში. მანამდე, მამის სუკ-ის თავმჯდომარეობის პერიოდში, მოსკოვიდან, რიგითი ექიმობიდან, ჯ. პატიაშვილის მიერ გადაყვანილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს სექტორის გამგედ იმავე ჯ. პატიაშვილის მიერ დაინიშნა ჯან. დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს უფროსად, ხოლო IV სამმართველოს გაუქმების შემდეგ, უკვე დღევანდელმა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მაშინ, როცა მთელი საქართველო უქმდებოდა, ასეულობით ადამიანი რჩება უმ-უმეგარი, გა. ინაურისთვის შექმნეს და დაუშვეს ახალი შტატი ჯან. დაცვის მინისტრის მოადგილისა და ამას ალექსი ინაური ეძახის მისსავე „ყველასგან დავიწყებას“.

როგორც გენერალ ინაურს, ისევე მის ორივე ვაჟს აქვთ აბსოლუტურად რუსული ორიენტაცია და ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ გენერლის შვილებს ქართველი დედის სითბო არ უგრძენიათ, ვინაიდან მათი დედა გახლდათ არაქართველი და მათი მეუღლეებიც არაქართველები გახლავან. ღმერთმა დამიფაროს! შერეულ ქორწინებათა დაგმობა!

მაგრამ ეს, თითქოს უმნიშვნელო ფაქტიც, იმის მაჩვენებელია, რომ კრემლს თავის ზრახვების გატარებაში არაფერი ეშლებოდა და ყველაფერი დეტალურად გათვლილი ჰქონდა.

აი, როგორ ესმის გენერალს კომუნისმის მშენებლობა. მისი სიტყვები, რომლებითაც გენერალი ცდილობს მკითხველის თანაგრძნობა გამოიწვიოს, მხოლოდ მწარე ღიმილს იწვევს (ყოველ შემთხვევაში ჩემში): „ჩემი უფროსი შვილი ხუთ სხვადასხვა სკოლაში სწავლობდა. ჩემთვის არასოდეს უკითხავთ, მსურდა თუ არა შემესრულებინა ესა თუ ის საქმე...“. ხუთი საშუალო სკოლის გამოცვლას ტრაგედიად თვლის ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობით მისივე, ფაქტიურად საკუთარი სუკ-ის ათწლეულების განმავლობაში არა თუ ხუთ, არამედ 10 და უფრო მეტ წლიან სასჯელსთვის სწირავდა მრავალ ქართველს. ქართველი პატიმრები ციხეებში იცვლიდნენ 5-სა და 10 კოლონიასაც, ათეულობით დღეები და თვეებიც საპატიმრო ეტაპებში და საცნებში გადიოდა.

ვინ აიძულებდა ა.ინაურს ეკეთებინა ის საქმე, რომელზედაც მისივე თქმით „არავინ ეკითხებოდა, სურდა თუ არა რომ ეკეთებინა“? ხომ არსებობდა საწერი ქაღალდი, საწერი კალამი და რაც მთავარია სიმტკიცე, დაწერა გენერალს და გადამდგარიყო. ორი ვარიანტია: ან კრემლი არ უშვებდა, ანდა თვითონ არ უნდოდა. პირველი გამორიცხულია, რადგან სუკ-ის თავმჯდომარეობა 35 წელი

არავითარი დაწერილი თუ დაუწერილი კანონით საკვალდებულო არ არის. უფრო რეალურია მეორე ვარიანტი: ა. ინაური თვითონ ვერ ეწეოდა საგარეოს, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, გრძნობდა საკუთარ მარიონეტობას. ეს ორივე ვარიანტი ერთმანეთზე საშინელია.

რაც შეეხება გენერლის თვითდაჯერებულ ექსკურსს საქართველოს ისტორიაში („როდის ყოფილა საქართველო მთლად თავისუფალი?“), იმედია, ისტორიკოსები მაინც, მოკრძალებით, მაგრამ მაინც შეახსენებენ გენერალს საქართველოს წარსულს.

და ბოლოს, ჟურნალისტი წერს: „მივდივარ, ვემშვიდობები გულდამძიმებულ მოსუცს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთს ესწრაფვოდა - სინდის-ნამუსით ემსახურა სამშობლოს საკეთილდღეოდ. რას ემსახურებოდა? ქიშკრებს ხომ არა? მაგრამ ის არის ამაში დამნაშავე?“

თუკი ნაწილობრივ მაინც დავეხმარე ი. ინაურს მისსავე შეკითხვაზე პასუხის გაცემაში, თავს მოხარულად ჩავთვლი. იმედს გამოვთქვამ, რომ ინაურილი მომიტყეებს სტილისტურ შეცდომებს რამეთუ პროფესიით გახლავართ ექიმი, და არა ჟურნალისტი.

ელგუჯა ჯოხაძე
ქ. მოსკოვი. 1990 წ. 21
აგვისტო

განცხადება

საქართველოში მიმდინარე უკანასკნელი პროცესები ადასტურებენ იმას, რასაც ბევრად ადრე წინასწარმეტყველებდნენ ეროვნული კონგრესის წარმომადგენლები. კერძოდ იმას, რომ კრემლი საქართველოს მარიონეტული უზენაესი საბჭოს ხელშეწყობითა და ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდაჭერით შეეცდებოდა გაანადგუროს ჭეშმარიტი ოპოზიცია. გამოვსახატე ჩემს გაკვირვებას იმასთან დაკავშირებით, რომ რადიოსადგური „თავისუფლება“ რატომღაც თავს იკავებს გადასცეს ინფორმაცია დაპატიმრებულთა შესახებ (უკვე დაპატიმრებულია 60 კაცზე მეტი), ეს კი ძალიან ართულებს ისედაც მძიმე ვითარებაში მყოფი ოპოზიციის მდგომარეობას, რომელსაც უზენაესი საბჭოს ბრძანებით საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მისასვლელი ყველა გზა მოჭრილი აქვს. სწორედ ასეთი აღვირახსნილობის მაჩვენებელია დაპატიმრებულთა სიმრავლე, რომელთა უმეტესობას ჯერ კიდევ არანაირი ბრალდება წაყენებული არა აქვს. არიან ისეთებიც, რომელთა მიმართ არა პოლიტიკური, არამედ სისხლის სამართლის ბრალდებებია წაყენებული. ყველა მათგანი აქტიურ თანადგომას საჭიროებს. სულ უფრო და უფრო იზრდება ოფიციალური ტერორის განხორციელების საშიშროება საქართველოს უზენაესი საბჭოსა და ჯარის ნაწილების მხრიდან. თბილისში შემოსასვლელი გზები ფაქტიურად ჩაკეტილია: საქ. შსს წარმომადგენლები, შს. ილია მართლის საზოგადოების წევრები („მრგვალი მაგიდა“) და ეროვნული გვარდიელები ჩხრეკენ საზოგადოებრივ ტრანსპორტსაც კი. ყველაფერი ეს ხდება მოსკოვთან და საბჭოთა საოკუპაციო ჯარებთან აშკარა შეთანხმებით.

მე, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრი, სურთომორის ორგანიზაცია „დემოკრატია და თავისუფლების“ წევრი და „ექსპრეს-ქრონიკის“ (რომელიც უზენაესი საბჭოს მიერ მავნებლურ გაზეთად არის გამოცხადებული) კორესპონდენტი, მივმართავ თხოვნით მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ალასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს: დაგვეხმარეთ! დაგვეხმარეთ ისე, როგორც ამას აკეთებდით „პერესტროიკისა“ და „გლასტნოსტის“ დაწყებამდე. დაგვეხმარეთ დემოკრატიულ ოპოზიციას, რომლისთვისაც სულერთია თუ როგორ შეიფერება ან რას გადაირქმევს კრემლი და მისი მარიონეტული დიქტატურა. სწორედ თქვენმა თანადგომამ გადაარჩინა საბჭოთა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე სამართალდამცავი და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობანი, მაშ, ნურც დღეს ნუ გავიმეტებთ ამ მოძრაობებს დასაღუპად!

ირინა სარიშვილი
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის პრეზიდენტი
20 თებერვალი, 1991 წ.
(დაიბეჭდა „ექსპრეს-ქრონიკაში“, „რუსკაია მისლში“)

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი... თუ სამხრეთი?

ამ ბოლო დროს საქართველომ კვლავ მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება: „მცირე იმპერია“, „ოსების ჩაგვრა“, „ქართული იმპერიალიზმი ანადგურებს ოსურ ავტონომიას“ და სხვ. აი, როგორი „პოპულარულია“ საქართველოს თემა და როგორ „ობიექტურად“ ხდება ამ თემის გაშუქება მსოფლიოს პრესაში.

სამწუხაროდ, ეს არც პირველი შემთხვევაა და ალბათ, არც უკანასკნელი. ბევრმა არ იცის თუ სიმართლე ვის მხარესაა და გულუბრყვილოდ ენდობა კრემლის ინფორმაციას, ზოგი კი შეგნებით ამანინჯებს ფაქტებს, აყალბებს ისტორიას და მისთვის სასურველს რეალობად ასაღებს.

სანამ უშუალოდ „ოსურ პრობლემას“ შევეხებოდეთ, ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ავტონომიების შექმნის ისტორიას და საქართველოში სამი ავტონომიური ერთეულის ჩამოყალიბების ჰუმანიტარულ მიზეზებს.

სტალინი არა მხოლოდ ზოგადად იყო კაცთმომულე, არამედ მის სიძულვილს, ალბათ, ხშირად, კონკრეტული ადრესატი გააჩნდა. ალბათ, არავინ და არაფერი არ სძულდა სტალინს საქართველოზე მეტად. ერთი შეხედვით, ეს პარადოქსია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

დავიწყოთ იქიდან, რომ ჯუღაშვილი ქართული გვარი არ არის, ოსური გვარია. ამას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც უამრავ ოსს უყვარს საქართველო და თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. მთავარი აქ ის არის, რომ ოსებს ჯუღაშვილს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი არასრულფასოვნების კომპლექსი გამოუშუშავდა: მის ინტელექტუალურ ძალას, პოლიტიკურ ნიჭს და ადამიანურ თვისებებს საქართველოში, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით უყურებდნენ. თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც კი მას იმდენი ქართველი კონკურენტი ეგულებოდა, რომ მის, როგორც სერიოზული პოლიტიკური მოღვაწის არსებობასაც კი საფრთხე ემუქრებოდა (მაგ კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ნოე ჟორდანიანი და სხვ.). არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტალინი საქართველოდან, ფაქტობრივად, გააძევეს. ამას დაემატათ სტალინის დედასთან დაკავშირებული ჭორ-მართალი, ქართველი კაცის ტრადიციული ენაკვიმატობა და გასაგები გახდება სტალინის კომპლექსისა და მისი კ ა ც თ მ ო მ უ ლ ე ო ბ ი ს ფსიქოლოგიური მიზეზები (ამის შედეგია ყველაზე სისხლიანი რეპრესიები საქართველოში, 37 წლის განსაკუთრებული სიმძიმე და პროცენტულად ყველაზე მეტი დაღუპული მეორე მსოფლიო ომში. სტალინის ცნობილი გამოთქმებია: „დაასამარეთ საქართველო!“ და „თავდაზნუნრული საქართველოს განადგურების გარეშე სოციალიზმს მთელს ქვეყანაში საფრთხე ემუქრება“. ეს გამოთქმები ორჯონიკიძის საყვარელი გამოთქმებია).

სწორედ ამ კაცთმომულე მანიაკს უნდა განეზოცებინა „გაპყავი და იბატონეს“ პრინციპზე დაფუძნებული ავტონომიზაციის გეგმა და პირველ რიგში, ეს სატანური პროექტი სწორედ საქართველოს უნდა შეეხებოდა. ავტონომიების შექმნით დაპყრობილ ტერიტორიებზე კრემლი თავის ერთგულ „მეზუთე კოლონებს“ აყალიბებდა, რომელთა გამოყენებას ის აპირებდა ეროვნული მოძრაობების, საერთოდ მკვიდრი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ.

საქართველოში ავტონომია მიიღო არამარტო ოსმა და აფხაზმა უმცირესობამ, არამედ აჭარამაც (?). ათეისტური სახელმწიფოსაგან კი ეს სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა, რამეთუ აჭარლები ქართველები არიან, ლაპარაკობენ ქართულ ენაზე, არიან ერთიანი ქართული კულტურის მემკვიდრეები... თურქთა სამასწლოვანი ბატონობის შედეგად საქართველოს ეს კუთხე გამუსულმანდა და სწორედ რელიგიური პრინციპიდან გამომდინარე მიეცა აჭარას ავტონომია.

დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოს კრემლი სწორედ ავტონომიებით უპირისპირდება. საოცარია, როდესაც ოსი და აფხაზი სეპარატისტები ერთნაირი მოთხოვნებით, წითელი დროშითა და იმპერიის ერთიანობის იდეით უპირისპირდება ჩვენს ეროვნულ მოძრაობას.

დროა, გაიფიქროს, რომ არც ოსის, არც აფხაზის უფლებებს საქართველოში არავინ ლახავს და რუსეთის ავტონომიებთან შედარებით ჩვენი ავტონომიები გაცილებით მეტი უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობენ. დაუბრუნდეთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რომელიც დღეს ყურადღების ცენტრშია და რომლის გამოც ასეთი ანტიქართული ვაკანალიაა მთელს მსოფლიოში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ანუ ისტორიულ სამაჩაბლოში ქართული მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა. რა თქმა უნდა არ არსებობს ისეთი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ქართველთა ავტოქტონობას კითხვის ქვეშ დააყენებდა. ქრისტესშობამდე პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში ეს ტერიტორია იბერიის სამეფოს შემადგენლობაში იყო და გასაგები მიზეზების გამო ოსური მოსახლეობა იქ არ ცხოვრობდა.

შუა საუკუნეებში ოსები „გამოჩნდნენ“ ისტორიის სარბიელზე, მაგრამ არა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათ საკუთარი სამეფო დაარსეს, რომელთაგან საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა.

მონღოლ-თათრებისა და თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ ოსთა (ალანთა) ეს სახელმწიფო დაინგრა და ოსებმა თავი ბალკანეთსა და უნგრეთს შეაფარეს, ნაწილმა კი კავკასიონის ქედის ხეობებს მიაშურა. დროთა განმავლობაში ცენტრალური საქართველოს მაღალმთიან ზოლში თავი მოიფარა კავკასიონის ქედის ხეობებიდან გადმოსულმა ოსთა ნაწილმა და XVII-XVIII საუკუნეებში აქედან დაიწყო მათი გავრცელება საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში. მეთვრამეტე საუკუნის აღწერით ქართლ-კახეთის სამეფოში (დღევანდელი ოლქის ტერიტორია) ამ სამეფოში შედიოდა) სულ ექვსი ათასამდე ოსური ოჯახი ცხოვრობდა.

1801 წლის აქტისა და განსაკუთრებით, 1921 წლის ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ ოსთა სამაჩაბლოში ჩასახლების პროცესი ისეთი ტემპებით მიმდინარეობდა, რომ სულ მალე ქართველობა ამ რეგიონში ეროვნულ უმცირესობად იქცა. (1979 წლის აღწერით სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მხოლოდ 29 პროცენტი ქართველი ცხოვრობს, მაშინ, როდესაც ოსი მოსახლეობის პროცენტი 67-ს ჯღწევს). ყველა ამ პროცესს, ბუნებრივია, ხელი შეუწყო 1922 წელს სამაჩაბლოს ტერიტორიაზე შექმნილმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა და მისმა ხელმძღვანელობამ, რომელიც წლების განმავლობაში ანხორციელებდა კრემლის პოლიტიკას საქართველოს ამ)ირმველ მიწაზე.

ჩვენ, როგორც დემოკრატიის იდეალების ერთგულნი, მომხრენ ვართ იმის, რომ საქართველო ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველ: ეროვნების წარმომადგენელს, მათ შორის ოსს, მიეცეს კულტურული ავტონომია, იგივე უფლებები, რაც მკვიდრ ქართველ მოსახლეობას. მაგრამ დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის ხელყოფა და ისტორიული სამაჩაბლოს დედა-სამშობლოდან მოწყვეტა.

ერთი წუთით დაფიქრდნენ ჩვენი ოპონენტები: აშშ-ში მრავალი სომეხი ცხოვრობს და ერთ მშვენიერ დღეს, ვთქვათ, ლოს-ანჯელესის სომეხებმა რომ მოინდომონ ლოს-ანჯელესიანად საბჭოთა კავშირთან შეერთება, განა ამერიკის მთავრობის საპასუხო ნაბიჯს იმპერიალიზმის გამოვლინებად ჩათვლის რომელიმე ჰკუთმიყოფელი? რა თქმა უნდა, არა.

ერთიც არის: საქართველო დღეს ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყანაა და დამოუკიდებლობის აღდგენამდე არ ღირდა ეთნოკონფლიქტების ახალი კერების გაჩენა. მიუღებელი იყო ამ მიზნით სსრკ-ს შინაგანი ჯარების გამოყენებაც. უზნებოაა, იმ ჯარებთან ერთად დგომა, რომელსაც საოკუპაციო ჯარებს ეძახი და გულუბრყვილობა იმის ფიქრი, რომ ეს ჯარები შენს ეროვნულ ინტერესებს დაეკვემდებარებიან. სამხრეთ ოსეთის „საბჭოთა დემოკრატიული“ რესპუბლიკის გამოცხადება და საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,

ისტორიული თვალსაზრისით სამართლიანი, პოლიტიკურად გაუმართლებელი გაუქმება არის ორმხრივი პროვოკაცია და ამ პროვოკაციის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პროვოკაციის უკან, კრემლი დგას. არც ქართველი, არც ოსი ხალხი არ უნდა წამოეგოს ამ პროვოკაციას: სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან; იმავე რეგიონში მცხოვრებმა ქართველებმა კი უნდა გაიცნობიერონ ის ფაქტი, რომ ოსები არიან მომავალი დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები.

გიორგი ჭანტურია

!!! !!!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გამსახურდიას უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატს

სოფელ აჩაბეთის 27 იანვრის მიტინგის მონაწილეთა გადაწყვეტილება - დროულად მოგხედოთ - გამოწვეულია არამარტო საქართველოს მიწა-წყლის დაცვის აუცილებელი სურვილით, არამედ ჩვენი მოხუცი მშობლებისა და უმწეო ბავშვების თხოვნითა და ვედრებით. დიდად დაგვამწუხრა თქვენმა გადაწყვეტილებამ სამაჩაბლოდან ქართული მილიციის გამოყვანის თაობაზე. გვიბრძობდით 2 ათასის ჩასახლებას, 7 ათასი ქართველი კი უკვე გასახლდა სამაჩაბლოდან. ქართული მილიციის გასვლის დღესვე ოსმა ექსტრემისტებმა სახლი აუფეთქეს და მოკლეს გურამ ოქროვერცხაშვილი, მძიმედ დაჭრეს მავყალა კახნიაშვილი. იმავე ღამეს გამარცხვს და დაწვეს რვა ქართველის სახლი. არის ინფორმაცია, რომ ოსები აპირებენ დიდი ლიახვის ხეობის სოფლებზე დაცემას, რათა გახსნან როკის გვირაბისაკენ გასასვლელი ერთადერთი გზა (აღარას ვამბობთ შეურაცხყოფილთა, გაძარცვულთა და გაუპატიურებულთა შესახებ).

ჩვენს დეპუტატს ვუა ადამიან აღარც გავხსენებდით, ან რისთვის ვჭირდებით... კომენდანტის საათის შემოღებიდან არავინ, თვით გივი კვანტალიანიც, არ შეხვედრია ქართულ მოსახლეობას, არცერთხელ არ მიგვიღია ქართული გაზეთი... საერთოდ, მთლიანად მოწყვდით სამყაროს. დიდად გვაწუხებს საკავშირო პრესისა და ტელევიზიის არაობიექტური საქციელი და არც ჩვენი „მოამბის“ საქციელია დიდად სასიხარულო...

- მო ვ ი თ ხ ო ვ თ:
1. საქართველოს უზენაესი საბჭომ უახლოეს სხდომაზე განიხილოს შიდა ქართლში შექმნილი რთული მდგომარეობა და გაატაროს ყველა ქმედითი სასწრაფო ღონისძიება ოს ექსტრემისტთა თარეშის აღსაკვეთად.
2. უახლოეს დღეებში სამაჩაბლოს ქართულ მოსახლეობას ადგილზე შეიკრიბოს დეპუტატი ვუა ადამია და სხვა დაინტერესებული ხელმძღვანელებიც. წინააღიდეგ შემთხვევაში დაეაყენებთ საკითხს ვ.ადამიას გაწვევის შესახებ.
3. მსჯელობის საგნად იქცეს კომენდანტის საათის შემოღების სისწორე და თვით კომენდანტის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა.

წაკითხულია მიტინგზე სოფელ აჩაბეთში 1991 წლის 27 იანვარს.

თანამშრომლებო!

წერილები „ეროვნული“ ცინიდან

ეროვნული
ციხული

დიდი დრო არ გასულა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევიდან, მაგრამ დღესვე შეიძლება იმის თქმა, რომ კარგი ვერაფერი ვერ „მოასწრო“ ახალმა უზენაესმა საბჭომ, ცუდი კი მრავალი. ნათელი გახდა, რომ უზენაესი საბჭო მხოლოდ სახელების გადარქმევით კმაყოფილდება და ძველი, კომუნისტური სტრუქტურების მოშლას არ აპირებს. წინასწარჩვენო კამპანიის დროს ამომრჩეველთა ხმებს დახარბებული „მრგვალი მაგიდა“ ქართველ ხალხს კერძო საკუთრებასა და კოლექტიური თუ საბჭოთა მუერნობების დაშლას დაპირდა, სინამდვილეში კი მიწის გლეხებისთვის დაბრუნებას არავინ აპირებს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ამ შემთხვევაშიც ყონგლიორობა დაიწყო და სახელების გადარქმევით დაკმაყოფილდა: საბჭოთა მუერნობას ეწოდა საზოგადოებრივი მუერნობა, კოლმუერნობას კი სასოფლო კოოპერაცია. ეს უსამართლობა უნდა გამოსწორდეს და მიწა უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ პატრონს-გლეხს, სამუდამო მფლობელობაში (შთამომავლობაზე მიწის გადაცემის უფლებით).

პრეფექტის პოსტის დაწესებით კი საქართველოს დიქტატურის დამყარების საფრთხე ემუქრება (სიცრუეა იმის მტკიცება, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში მსგავსი რამ არსებობს). ქართველმა ხალხმა უარი უნდა თქვას ხელისუფლების ამ ანტიდემოკრატიულ აქციაზე და ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს მომავალ მუნიციპალურ არჩევნებს (ამ არჩევნებს მაინც არავითარი აზრი არა აქვს, რადგანაც რეალური ძალა მხოლოდ პრეფექტის ხელში იქნება). დაუპირისპირდეთ საქართველოს დაუძინებელ მტერს-საბჭოთა იმპერიას და მის ადგილობრივ მარბონტებს! უარი ეთქვათ პრეფექტურაზე! უარი ეუთხრათ უზენაესი საბჭოს ბოლშევიკურ აგრარულ პოლიტიკას! მოვიტხოვოთ საქართველოს დეოკუპაცია და ვიბრძოლოთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ფიცის მწას, ხოლო მაკვირებს...

„ანექსირებული საქართველოს პირობებში პოლიტიკური ძადაუფდებისათვის ბრძოლა კი უზნეობად მიგვაჩნია“- ზვიად გამსახურდია, „ახალგაზრდა ივერიელი“, 17 მაისი, 1990 წ.

გადის ხუთი თვე და ზვიად გამსახურდია ანექსირებული ქვეყნის ხედისუფლების სათავეშია მოქცეული და ამ შემთხვევაში ჩვენ მდიანად ვეთანხმებით ბაგონ გამსახურდიას, რამეთუ ეს საქციელი მიგვაჩნია ეროვნული მოძრაობის ღადაგად და უზნეობად.

კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორი ურთიერთობა ექნება უზენაეს საბჭოს ეროვნულ კონგრესთან, ზვიად გამსახურდია აცხადებს:

„მათთანაც არ გავამწვავებთ ჩვენს ურთიერთობას და, თუ რაიმე საქმიანი წამოვა მათი მხრიდან, ყოველთვის მივესაძმებთ. არავითარ მგრობას ჩვენ არ გავალვივებთ და არც შევუწყობთ ხელს“-სახალხო განათლება, 1 ნოემბერი, 1990 წ.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე რომ გუდწრუდი არ იყო ამ სიგყვების წარმოთქმისას, დასგურდება მრავალი დოკუმენტით. ახლა გთავაზობთ ორ ამონარიდს, ერთი-28 ოქტომბრამდე, მეორე-არჩევნების შემდგომი პუბლიკაციებიდან. „ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა იდია მართლისა, აი, გზა სიწმინდის, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა გერორიზმისა!“-26. მაისის მიგინგზე წარმოთქმული სიგყვიდან, გაზ. „საქართველო“, 30 ივნისი, 1990წ.

„ეროვნულ კონგრესს ჩვენ არ ვცნობთ. პარდამენგი არის ოფიციალური ორგანო, კონგრესი კი არაოფიციალური. თუნდაც ამ მიზეზის გამო არ მოხდება შეხვედრა კონგრესისა და უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს შორის ოფიციალურ დონეზე“-საქართველოს რესპუბლიკა, 18 დეკემბერი, 1990წ.

„ჩვენი გამიტყვნა ფორუმთან მოხდა პრინციპული განსხვავების გამო პოზიციებს შორის და არა პიროვნული დაპირისპირების მიზეზით, ამასთან არ ვამგყიყვებთ, რომ ჩვენი კურსი არის ერთადერთი და სწორი“- ზვიად გამსახურდია, „თბილისი“, 19 მაისი, 1990წ.

„უმთავრესი მიზეზი ჩვენს მიერ ფორუმის დაგოვებისა იყო სკანდალური ინციდენტი, სროდა ფორუმის მიმდინარეობის დროს, გერორისგული აქცია, რომელიც მიმართული იყო ფორუმის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგ“- გამსახურდიას, ქორიძის, რყხიდაძის და სხვათა განცხადებებიდან. „ახალგაზრდა ივერიელი“, 5 მაისი, 1990წ. /გამსახურდიამ ფორუმი დაგოვა „სკანდალურ ინციდენტამდე“ დიდი ხნით ადრე და ზუნებრივია, არც სროდის მომენგში იმყოფებოდა ფორუმის სხდომამდე/. „ფორუმიდან თავდაპირველად სწორედ იმის გამო გავედი პიროვნობა. რომ არ მომწონდა ზოგიერთი თქვენგანის

მიმართვა ქართველ ხალხს!

გაჯთთობიდან შაპიტაჟა და ჩაი შურითაც მოვისმინე, რომ ერთი ნაწილი ქართველებისა თხოულობს ჩაი ბანთავისუფლებას. უზენაესი საბჭო, რომ ამ ფაქტმა მი იმედი გაამიძლიერა ჩაი შაპიტის მოგავლისადმი, აბარა პირდაპირ, ჯერ ერთი, რისი სათავედმეო ვარ მე, ან ვისთვის დებაა ეს ხალხოშურაბი. არ გიფიქრობთ, ვინ არის ის კაცი, რომელმაც შურად უნდა იღოს თქვენი მოთხოვნა ან, ღმერთა დაიფაროს, თხოვნა? (მა ტაქსტი არ ვიცი). მეორე, ჩაიშა არ არის საჟამ. ამ საჟამ ეხება „შეღრიონს“, იმ ახალგაზრდებს - ჭაშაბრებ, უანგარო და აგავა აბტრიტებს, ვინც თავისი დრო, ოჯახი, სიცოცხლე კი გადასდო მსხვერპლად საქართველოს კათილდღაობისათვის, მისი თავისუფლებისათვის შინ და გარეთ. „შეღრიონი“ იყო ის ბიჭები, ვინც შაპიტ ქართლში, კოლნისისა და გარეულის რაიონში პირველი ამოუდგა მხარე საკუთარ ხალხს. „შეღრიონი“ პირველი ჩავიდა აფხაზეთში გაჭირვების ჟამს. „შეღრიონი“ იყო, ვინც აღკვეთა აფხაზ მსტრამისტთა შურა სოფლის უნივერსიტეტში გაყოცდავის მიღების დროს. „შეღრიონი“ ჩავიდა აფხაზეთში არჩევნების დანიშვნის დროს, რათა არ მოხდარიყო კლდატანება და სხვა მსტრამები; „შეღრიონი“ გაუნიდა ჩავიდა აფხაზეთში, რიცა სურდათ ქართველ დელეგაციას ხსოვნა შეეხდებოდათ და აღკვეთა ეს გარეულობა. „შეღრიონი“ ორჯერ იყო ცხინვალსა და ლიახვის ხეობაში და მისმა მომადგამმა ბანაირობა შედარებით სტაბილურად მთელი წლის განმავლობაში. „შეღრიონი“ და ქართველ გაშვალთა კორაუხის ერთმა შურა ბიჭებმა ასახალს საქართველო ირანის მიფისპირის დროს.

„შეღრიონი“ რიგაში ნახეს საგარტალი სწორად იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც კოშუნისტური რაიონის დროს კოშაპირის ციხე ააგოინეს, დღეს კი საიმიერ ვაჟაყვალის იტინე და ჭაშაბრები აბტრიტის შურს ადგანან. „შეღრიონი“ სურდა შაპიტისუფლად მოერღვინა იმპარილისტური ჩაგვირის ინსტიტუტები, გადაერჩინა ქართველი კაცი შარაშაჟა და ისეთი ორგანიზაციები, რომლებიცაა ე.წ. „ქეო“, „დოლგაი“ და მილიცია, თავის საქმიანობასთან დაკავშირებით, აბარა მათ ისევ ლაქიოთა, ამართაჟიობა, ორპირობა არჩიან ჩვენი, უკაცრავი ახსუბია, ხალისუფლები მოთხოვნით.

როცა თქვენ ტაპილად გაიინათ, ქართველო ხალხო, „შეღრიონი“ თილისის ჭაშაბრე მორიგებოდა 22 საათიდან დილის 4 საათამდე (წერილის აბტორი ბულისხმოვს ქ.თილისში 1990 წლის მარტ-აპრილში „შეღრიონის“ შავრების ღამით ნებაყოფლობით აბტრულირებას, ასევე ამ წლის დასაწყისში საგარეურო რაიონის უნიგანს საქმეთა განყოფილების შურაშაჟა ბაფიციისა მორიგებოდას. - „შეღრიონის“ უნიგანს საქმეთა განყოფილების შურაშაჟა უანგარო, დენის პირობაში ხლავდა. „შეღრიონს“ გაუნი დავიდა კოშუნისტური მთავრობა, მილიცია და თქვენ შარაშაჟიონით, ეროვნული მოქალაქის სახელით მომადგი კანტურისტები, რომლებიც „შეღრიონი“ ხალგადად მოფინადაღმდებუს მათი თავაჟი ჭრაშაჟიონს; გაუნი ისინი, რომორც ჩავიდათ რააკაცაჟს, ჭრაშაჟიონს და ცილისუფლებით შურა-ჩვენს ასე ბიჭებმა ნახეს სახალს, ებანი სუა-ის აბანტაბი არიან, აა საიდან აჟმთ იარაღით. დღეს ეს ფაზისტური ხროვა ჭვიდა გასახურდიას თაუნობით, უკვე მთავრობის სათავეში მოსული, მთელი კოშუნისტურ-ფაზისტური აპარატით მომადგება აგავა მიმართულებით. მათ არ მოსწონდათ, რიცა ჩვენ მათს აანტურისტულ მომადგებას შინ აღუდგებოდათ, იყო ეს აფხაზეთის თუ საგარეულოში, მერა კოშტაჟს ფონდას თუ საბტრამიონი. ისინი ბატონდნან, რიცა დანიანს, რომ „შეღრიონი“ შეაჟიდა მათ ფაზისტურ კურსს. იყო ეს ოსეთის საგარეულოში პრიციის, ე.წ. გვარდიის შეჟანა, დიტატურის საბტრამის მიყნით, დღესდღეობით კოშუნისტურა უფრო დრაკონული კანონების ბატარაჟა ხალხის ჭურბს უკან, ტარორი ფსიქოლოგები თუ პირდაპირი, და კოლოს ე.წ. პრეჟიტტა-ხალხის მგავრული ინსტიტუტი. შოველივა ამისა და კიდევ მრავალი უნიგამოჩაჟილი ფაზისტური მოველინების ფინადაღმდებ ბიგრპით ჩვენ - „შეღრიონი“. ჩვენ უაგრაჟი საჟმით, მოფო და მტაჟიბაჟა გავაჟს დღევადაღელი, პოლიუს ვიხი გამოთჟინატივის, ხალისუფლები გაილაჟეუბრამდა, აბიტოჟ ახლა ჩვენ გენთილავან ანდითაჟად, თქვენი სახალით, ქართველო ხალხო, ვაჟროგან და ციხეში გავრკაჟიან. მე არ მიგვართავ მაღალფარდოვან მოფოდეჟებას და ცნობილ სენტაბეციას, მე უბრლოდ ვიტაჟი - სიგართლე არ დანიდალა. რაც შეეხება ჩაი ბანთავისუფლებას, მე ვფიქრობ, ეს ნააღრპივა; ვიღრა საქართველოს ეიდ. ილაგალს აბტრიტლას კაცი, რომელმაც ურცხვად, ალათ მილიონობით ალაჟიანის ფინაჟა ტოლავიციით ორჯან დააჟოლა მთელი დემოკრატიული მოქალაქე (ერთხელ რომორც აბტრაციის ქაჟაჟა შოჟარაჟა, მეორედ - რომორც სუა-ის მოფოჟა), სულში ჩააფურთხა ქართველ ხალხს და თავი მოსჟრა მთელს დუნიაზე. ვიღრა იგანა ჯავანოჟილის უნივერსიტეტში, ფილოლოგიური ფაჟულტატის პირველი კურსის (I) თუნდაც ერთი სტუდენტი მოითხოვს ალაჟიანის დააბტირებას, თუნდაც იგი დაჟანაჟაჟა არ იყო, - ჩაი აბტილი ციხეშია.

ფინთ ოთხჯერ (და არა ორჯერ) ნასაართლევი, ფილოლოგიური მიცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თეატრმეოდე, კრიტიკოსი, დრაგატურბი, მწერალი, ეროვნული კონერანის პრეზიდენტი ვაჟრი, „საქართველოს შეღრიონის“ ხელმძღვანელი

ჯაბა იოსელიანი

ქცევა...“-გამსახურდია, „თბილისი“, 22 მაისი, 1990წ. ...და მაინც, რა მიზეზის გამო გავიდა გამსახურდია ეროვნული ფორუმიდან?

„გვაწუხებს კრიმინალური ზანდები. გვაწუხებს ის, რომ მაფიოზური დატყუებები დაუკავშირდნენ ხელმოყარულ პოლიტიკოსებს და გამოდიან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროში...“-გამსახურდია, „კომსომოლსკაია პრავდა“, 21 თებერვალი, 1991წ.

„მთელი საქართველო შეიარაღებულია. ბადგიისპირეთში მოსახლეობას იარაღი არა აქვს, საქართველოში კი ყველა ქართველი იარაღს აგარებს. ბადგიისპირეთის მსგავსი მოვდენები აქ შესაძლოა ავლანეთად მიუბრუნდეთ...“ გამსახურდია, „ნოვოე ვრემია“, 1991 წლის თებერვალი /ციფირებულია „აირიშ გაიშხიდან“/.

თავის პოლიტიკურ ოპონენტებს „აბებლებს“ და ციღს სწამებს რუსულ პრესაში, ხოლო მეორე განცხადებით რუსეთსვე „აშინებს“-ყველა ქართველს იარაღი აქვს და ახდოს არ მოგვეკაროთ.

პოლიტიკური სატირა

„მრგვალი მაგიდის“ ნადიმი

სესია და „მესია“

სიჩქუნტე ჩვენი, სიბრიყვე ჩვენი, ნამდვილად სიმწრით დანაკვეთია, რომ გვიწყალობებს ნანატრ კანონებს, ეს უმდაბლესი საბჭოს სესია. სამშობლოს ხსნის გზა სხვა გზათა შორის, ყველაზე მწელი და უგრძობია, და არ არსებობს არც „კონცეფცია“, რაც ერთობაზე უკეთესია. მომძის იოლად გამეფებული გულბოროტი და შუღლის მთესია, განდიდებისთვის ერის არევა ცოდვათა შორის უმძიმესია. კერპის ფეხებთან თავის რახუნი ველურების და ბრძების წესია, გმირი წევს მალლა მამადავითზე და იესოა მხოლოდ მესია!

აშარ დიაცებს

„როგორ გვიყვარდა ეს კაცი“-აშარები

ამ ცოფიან დიაცების შემხედვარეს ბევრის მნახველს მაინც პირი მიბრუნია, რომ მეგონა მე ეს სფერო ვიცი მეთქი, რამდენი რამ არ მცოდნია, მიმჩენია. გადავიღის ეს სასირცხო ისტერია, დრო ყველასთვის ადგილების მიმჩენია, სიტყვას ვიტყვი და ვიცხოვრებ იმავე წესით, რა წესითაც დღემდე თავი მიჩენია. მე აშარი დედაკაცის მოფერებას, ნაღდი ქალის სიმულვილი მიჩენია.

!!!

„თავისუფლებასთან ფორთხვით და ხოხვით უნდა მივიდეთ“ - აკაკი ასათიანი

დღემდე მტერს ჩვენი ჯილაგი, მიტომ ვერ გაუსრესია, რომ გამართული ვებრძოდით, როცა მომხდური გვესია. ფორთხვა მონების, ხოხვა კი-ქვეწარმავლების წესია.

პეტრიაშვილი და პუშკინი

არ იქნებოდა გურამი კერანზე ასე მწყრალი, პუშკინს რომ ეთქვა ქართულად, „კაცო, მომეცი ცკალი“.

რამხელა პოლიტიკური იქნება, ალბათ, ეფექტი, როდესაც „მრგვალი მაგიდის“ ყველა შტერი და დეფექტი რაიკომს შეცვლის, გახდება ერთპიროვნული პრეფექტი.

როდესაც კარგად ჩახედავს, ზვიადს, კაკოს და ნემოს, მიშინ გაიგებს ქართველი, რაც ჭამა, იმის გემოს.

რუსლან მიჩაბერიძე



სხედან სეთურის ფეხებთან მზადყოფი ჩასამხოებლად, მის პოლიტიკურ წუმპეში ჩასაწოლ-ჩასახრჩობლად. ეღერს ჰიპნი მათგან ნახმარი მიტინგის ჩასახშობლად. შიგნით რომ დეპუტატები ურცხვად, უტიფრად ტყუიან, გარედან „მხარის დამჭერი“ დედაკაცები ყმუიან. „სადლეგრძელოს“ სვამს ლოვარდ და კვირობს მსმენელ-მნახველი, რომ ასე „ელასტიური“ არსებობს ქვეყნად კახელი. ახლებთან ნახავთ ჩამომსხდარს, სხვადასხვა ჯურის „ყოფილებს“, დროებით ჩაყვინთულებს და ისევ თავამოყოფილებს. „ცეკას“ გამოცდილ ლაქიებს კინოს, მწერლობის დარგიდან, ძალიან მოსწონთ „მაგიდა“ მოჭრილი კრემლის თარგიდან. თავმჯდომარისგან შეღრენა, სიმუნჯე დელეგატური, „ერთხმად“ „არჩევა“, „დაგმობა“, მონურად თავის კანტური. (თითო-ოროლა „შეპარულს“ არავინ ადგებს არაფრად, და კნავის ოპოზიცია ნოდარ ნათამის ანაბრად). მას, ვისაც დისიდენტისთვის მზად ჰქონდა ქვა და გალია, დღეს იმას ველარც კი იცნობ, უკვე იმდენად „მრგვალია“. სუნით მიაგნეს ერთმანეთს, ორივე ერთ შავ დღეშია - რადგან „მრგვალი“ და „წითელი“ თითქმის ნახევრად ლეშია.

ტელე და პრესა მანერტებს „მრგვალი მაგიდის“ ფეხებით, დემოკრატის ხუთავენ ოცდაჩვიდმეტის ხერხებით. წერილებს კოლექტიურებს წერენ სწავლული ბიძები, ასი წლის ბიცოლები და ბაგა-ბაღების ძიძები. ბოლშევიკური სიბილწე შემოგვრჩენია რა დოზით, თან ჯულიეტა დეიდა კითხულობს რარიგ პათოსით. მცირეა ჩვენში ამ ფანდის გამომცნობ-გამომრჩეველი, და მიტომ ჭარბობს შეუმცდარს შემცდარი ამომრჩეველი. ეს ვადაც „გარდამავალი“ ზომ საპნის ბუშტის გარსია, და მათი „ბრძოლა მოსკოვთან“ გულისამრევი ფარსია. ასეთი სხვა „პარლამენტი“, სხვა „ეროვნული“ სად არი, ტაშის გრიალით დალოცეს დამსჯელი ჯარის სარდალი. ახლა ეს საბჭო ქვეყნის ბედს ისევ უკუღმა მიითრევს, და რასაც მდივანი ჭამდა, აწი პრეფექტი მიითმევს. ვისაც ეს კიდევ არ ესმის ან სულელია, ან ბავშვი. ვისაც ჯიუტად არ უნდა გაერკვს მომხდარ ამბავში, მონა არის და ღირსია იჯდეს და მოკვდეს ნაგავში.

„მრავალპარტიული“ მაგიდა

თვალსახვევად „ცალ-ცალკე“ ჰყავს ხუთი მონა პარტია, რა პარტიებიც ის არის, ისიც ის ბონაპარტია.

პატაშვილის „კონცეფცია“

უდღეურია „კრედო“, მრგვალ მაგიდას რომ ედო. ვაი, სამშობლოს ბედო, „გებულსად“ რომ გყავს თედო!...

მოსალოდნელი აქცია

„მაგიდის“ დაპირებები როდესაც მტერად იქცევიან, ამომრჩეველი გაარკვევს, ამგვარად რად იქცევიან, მათთვის ჩაყრილი კენჭები სულ ქვებად გადაქცევიან.

სოციალურ-პოლიტიკური სევდა

ნაწილი გამოსულელდა, ჭკუასთან არის მწყრალი, ზოგი ბუჩქებში გაყურდა, კუდით ჩაფარცხა კვალი.

ზოგს საშოვარის მიზეზით უყვარს „მაგიდა მრგვალი“, ზოგი ნაპარავს დარაჯობს, მაძღარია და მთვრალი...

ვინც დარჩა, იმათმა მაინც გამოახილეთ თვალი!...

„მრგვალი მაგიდის პრესცენტრის და ცრუთემურის ბრალია, რომ უკვე ისიც არ გვეჯერა, დედამიწა რომ მრგვალია.“

შეამოსუდ გასადეხს რეცენზიები არ უკეთდება და ავტორებს არ უხრუნდება. წერილების ავტორებს /ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა ბარდა/ ჰმონოგრაფი მიუცხავათ რედაქციის ფონდიდან დადგენილი წესის საფუძველზე.

ფანი 2 განათი